გაზეთი ბეჭდავს, „ეროვნული ენა"

ვერსია

№88 (844) 2 - 3 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

სირია ახალი ომის მოლოდინში

გვ. 3

„თუ ამ საერთაშორისო კონფლიქტში ჩაგვითრიეს, ქვეყანას პირდაპირი საფრთხე ემუქრება. შეიძლება 2008 წელი განმეორდეს. საფრთხე ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდანაც გველის..."

საქართველო – ტერორისტების სამიზნე?

წითელი ბარათების აქცია კონსტანტინე კუბლაშვილის წინააღმდეგ

პატრიოტთა ალიანსი და „ობიექტივი" ხელისუფლებისგან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გასამართლებას ითხოვს!

გვ. 2

ზურაბ ხარატიშვილის „მესამე გზა"

აიძულა თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატობა ვანო მერაბიშვილმა ცესკო-ს ყოფილ თავმჯდომარეს

გვ. 4

შემოვლით რკინიგზას შემოვლითი საავტომობილო გზა ჩაანაცვლებს?!

გვ. 5

რატომ დააკონსერვა მთავრობამ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი და დადგება თუ არა გიგი უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი?

„თამბაქოს პროდუქტის ფასი ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს"

რატომ აძვირებს ხელისუფლება სიგარეტს, მიაღწევს თუ არა ამ პროდუქტის მინიმალური ფასი სამ ლარს და რა რეკომენდაციების გათვალისწინება მოუწევს მთავრობას?

გვ. 7

რუსუდან შელია
557-100-768

წითელი ბარათების აქცია კონსტანტინე კუბლაშვილის წინააღმდეგ

პატრიოტთა ალიანსი და „ობიექტივი“ ხელისუფლებისგან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გასამართლებას ითხოვენ!

„კოჰაბიტაცია შეთქმულებაა“, „გასამართლდეს რეჟიმი“, „ძირს კუბლაშვილის სასამართლო“ — მსგავსი ლოზუნგებით, პირველ სექტემბერს, უზენაესი სასამართლოს შენობის წინ საქართველოს პატრიოტთა ალიანსისა და მედიაკავშირ „ობიექტივის“ ორგანიზებით, საპროტესტო აქცია ჩატარდა, რომლის ძირითადი მოთხოვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კონსტანტინე კუბლაშვილის დაკავებული თანამდებობიდან გადაყენება და შემდეგ გასამართლება იყო. აქციას პოლიტპატიმრები — ვახტანგ მაისაია და გიორგი გაბედავა, ამასთან, საპრეზიდენტო კანდიდატი, ხალხის პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი, უფლებადამცველები — გოგა ხაინდრავა და გია კორკოტაშვილიც შეუერთდნენ.

აქციის მონაწილეებს ორგანიზატორებმა წითელი ბარათები დაურიგეს, რომელსაც სასამართლოს წინ შეკრებილი ადამიანები იმ შემთხვევაში აფრიალებდნენ, თუ აქციაზე საგანგებოდ გამოყოფილ ტრიბუნასთან მისულ სიტყვით გამომსვლელს ეთანხმებოდნენ. მოგვიანებით, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალურმა მდივანმა, სოსო მანჯავიძემ აქციაზე შეკრებილებს პარლამენტისადმი გაგზავნილი მიმართვაც გააცნო, სადაც ნათქვამია: **„ვინაიდან ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მმართველობის დროს საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ სახელმწიფო ტერორის პოლიტიკა განხორციელდა, ვინაიდან ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად, კონსტიტუციის პრეამბულით გარანტირებული საქართველოს მოქალაქეთა უფლებები უხეშად დაირღვა, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტიტუციური მოვალეობაა მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, რასაც კონსტანტინე კუბლაშვილი არ უზრუნველყოფდა, არამედ თვითონ იყო სახელმწიფო ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან მოვითხოვთ, საქართველოს პარლამენტმა პირველსავე სესიაზე შეფასება მისცეს სახელმწიფო ტერორის ყველასთვის ცნობილ და დადასტურებულ ფაქტებს და სპეციალური დადგენილებით სასამართლო ხელისუფლებას კონსტანტინე კუბლაშვილი ჩამოაცილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი და ქვეყნის ახალი მთავრობა მხილებულ იქნებიან სახელმწიფო ტერორის პოლიტიკის დაფარვაში, რაც არანაკლებ მძიმე დანაშაულია, ვიდრე საკუთრივ, სახელმწიფო ტერორი. ჩვენი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, იძულებულნი ვიქნებით, მასობრივი საპროტესტო აქციები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით დავიწყოთ“.** სოსო მანჯავიძის მიერ გაჟღერებულ მოთხოვნებს აქციის მონაწილეები წითელი ბარათების ფრიალით შეხვდნენ.

ხელისუფლებას მასშტაბური აქციების გამართვით დაემუქრა პარლამენტარი **კობა დავითაშვილიც**, რომელმაც აქციაზე შეკრებილებს ერთიანი უმაღლესი სასამართლოს ჩამოყალიბების შესახებ ინიციატივითაც მიმართა: **„საჭიროა, აღდგეს 2005 წლამდე არსებული მდგომარეობა. ყველა ის მოსამართლე, რომელიც მასობრივად იქნა გათავისუფლებული, თანამდებობაზე უნდა დაბრუნდეს. ახალი მოსამართლეები არც სააკაშვილსა და არც ახალ ხელისუფლებას დაემორჩილებიან. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მასობრივად დამოუკიდებელი მოსამართლეების კორპუსის მიღება. გარდა ამისა, უნდა გაუქმდეს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების გაყოფა და უწყება ერთიან უმაღლეს სასამართლოდ ჩამოყალიბდეს. ამ მოთხოვნების მხარდასაჭერად, ორას ათას ხელმოწერას შევაგროვებთ და საკითხის განხილვას პარლამენტში მოვითხოვთ. თუ ჩემი კოლეგები უარს იტყვიან მის განხილვაზე, ორას ათას ადამიანს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ შევკრებ და მასობრივ საპროტესტო აქციებს დავიწყებ“.**

„ხალხის პარტიის“ ლიდერმა ნაციონალური მოძრაობის დამნაშავე ორგანიზაციად გამოცხადებაც მოითხოვა, რისთვისაც, მისივე განცხადებით, „პატრიოტის აქტში“ ცვლილებები უნდა შევიდეს.

კონსტანტინე კუბლაშვილთან ერთად, კახა ლომაიას და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების გასამართლება მოითხოვა **გოგა ხაინდრავამ** და აღნიშნა, რომ სანამ სახელმწიფო უწყებებში მაღალ თანამდებობებს კრიმინალი ნაციონალები ინარჩუნებენ, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე საუბარი სიცრუეა: **„კუბლაშვილი სახელმწიფო დამნაშავეა, რომელმაც საქართველოს, როგორც სამართლებრივ ქვეყანას, საფუძველი დაუნგრია. მისნაირი ადამიანები დღეს მოსამართლეებად კი არ უნდა გვევლინებოდნენ, მსჯავრდებულები უნდა იყვნენ და ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელს იხდიდნენ. ფაქტია, სანამ დამნაშავეები სახელმწიფო უწყებებში თანამდებობებს ინარჩუნებენ, სამართლიანი სახელმწიფო ვერ აშენდება — ქვეყნის მშენებლობა მისი საძირკვლიდან უნდა დავიწყოთ და არა სახურავიდან, რაც პირველ რიგში, კრიმინალების მოცილებას გულისხმობს. კუბლაშვილთან ერთად სააკაშვილი, ბოკერია, ლომაია და ყოფილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც უნდა გასამართლდნენ, რადგან ისინი იმ დანაშაულებრივი სისტემის ჩამომყალიბებლები არიან, რომელიც 9 წლის განმავლობაში საქართველოში ბატონობდა. ამ ადამიანებმა საქართველოს გულში ხანჯალი ჩასცეს“.**

„ვერსია“ აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორს, ირმა ინაშვილს ესაუბრა.

— „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებული აქციების მიზანია, ხელისუფლებამ ქართველი ხალხის სატკივარი მოისმინოს და გააანალიზოს. მმართველი გუნდის წარმომადგენლები საზოგადოებას ნუ არწმუნებენ, რომ კონსტანტინე კუბლაშვილი რეფორმატორი იყო და მან ქვეყანაში ახალი, წარმატებული სასამართლო სისტემა შექმნა. ეს სიცრუეა, რომელსაც ხელისუფლება საკუთარ ხალხს თავს ზეწოლით ახვევს.

— პრემიერი კონსტანტინე კუბლაშვილს რამდენჯერმე შეხვდა და განაცხადა, რომ მისი სურვილია ნიჭიერი კადრის შენარჩუნება. რატომ ფიქრობთ, რომ თქვენს მოთხოვნას ხელისუფლება გაითვალისწინებს?

— დიახ, ბიძინა ივანიშვილის განცხადებები, რომელმაც ასევე განმარტა, რომ კონსტანტინე კუბლაშვილი მხოლოდ რეჟიმის მსხვერპლი იყო, მოსაწონი ნამდვილად არ არის. როგორ შეიძლება ის კუბლაშვილი შეაქო, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ლიდერებთან ერთად, დანაშაულებრივ სისტემას ქმნიდა? გაბრაზებული საზოგადოება ახალ ხელისუფლებას ხმამაღლა ვეუბნებით — იმოქმედე საკუთარი ხალხის და არა ნაციონალური მოძრაობის ინტერესების გათვალისწინებით და დამნაშავეები გაასამართლე! ამ შემთხვევაში სრულიად კონკრეტულ ადამიანებზე ვსაუბრობთ, რომლებმაც აბსოლუტურად კონკრეტული დანაშაული ჩაიდინეს. კუბლაშვილი დღეს ისევე უნდა იჯდეს ციხეში, როგორც მერაბიშვილი! დღეს ყველასა და ყველაფერს საკუთარი სახელი უნდა დაერქვას, ამიტომ პირველ ეტაპზე, პარლამენტისგან კონსტანტინე კუბლაშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებასა და შემდეგ, მის გასამართლებას მოვითხოვთ. უაზრო კოჰაბიტაცია ქვეყანაში უნდა დასრულდეს!

— წინასაარჩევნოდ კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის ძირითადი დაპირებაა, რომ 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კოჰაბიტაცია დასრულდება.

— საერთოდ არ მაინტერესებს გიორგი მარგველაშვილის აზრი კოჰაბიტაციასთან დაკავშირებით, რადგან არც მარგველაშვილსა და არც ხელისუფლების სხვა წარმომადგენელს საზოგადოებისთვის არ უკითხავს, გვინდოდა თუ არა დამნაშავე ნაცმოძრაობასთან პოლიტიკური თანაცხოვრება, იგივე კოჰაბიტაცია. ჩვენი მთავარი მოთხოვნა, რისთვისაც თავი გავწირეთ დამნაშავეების დასჯა იყო. „ქართულ ოცნებას“ იმიტომ კი არ მივეცით ხმა, რომ დღესაც ჩაგრულ და გაჭირვებულ მდგომარეობაში ვყოფილიყავით. ასე რომ, მარგველაშვილის განცხადება ჩემთვის არაფერს ნიშნავს.

— პარლამენტს თქვენი მოთხოვნები უკვე გაუგზავნეთ. თუ ისინი არ დააკმაყოფილეს, წითელი ბარათების აქციას გააგრძელებთ?

— რა თქმა უნდა, მსგავსი აქციები სისტემატურ ხასიათს მიიღებს და ხალხის რაოდენობაც გაიზრდება. საბოლოოდ, თუ პარლამენტი ჩვენს მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მოვითხოვთ, რადგან უუნარო პარლამენტი საქართველოს არაფერში სჭირდება.

— ისე, პროკურატურასთან არჩილ კბილაშვილის წინააღმდეგ აქციაც კვირას ჩაატარეთ. უქმე დღეებში, როცა შენობაში არავინაა, აქციებს რატომ მართავთ?

— მერწმუნეთ, ახლა ყველა თანამშრომელი უზენაესი სასამართლოს შენობაშია — ჩვენს სათქმელს, ვინც საჭიროა, ისმენს და აანალიზებს; თანაც ამ გადაწყვეტილებით აქციის ორგანიზატორები იმ ადამიანებს ვუწყობთ ხელს, რომლებიც ჯერ კიდევ მუშაობენ. არ გვინდა, ვინმეს პრობლემა შევუქმნათ. პირიქით, თითოეულ მოქალაქეს ვაძლევთ საშუალებას, ჩვენს აქციებს შემოუერთდეს.

— პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა თქვენი აქცია სასამართლოზე ზეწოლად შეაფასა, მასზე კონტროლის შესაძლებლობის მიზნით...

— ჩვენ აქციას მკაფიო მოთხოვნა ჰქონდა. ანდრო ბარნოვს კი ვეტყვი, რომ ძალიან ნუ გამოიდებს თავს სააკაშვილის დაცვით, რადგან მიხეილ სააკაშვილიც ძალიან მალე გასამართლდება. თუ ეს კოჰაბიტირებული ხელისუფლების პირობებში არ მოხდება, ამ ქვეყანაში სხვა, ახალი ხელისუფლება მოვა, რომელიც ხალხის ნდობითა და მანდატით სამართლიანობას აღადგენს. ვშიშობ, ანდრო ბარნოვიც იქ არ მოხვდეს, სადაც მალე სააკაშვილი და კუბლაშვილი მოხვდებიან.

ვერსიანიუსი

ბიძინა ივანიშვილმა „ინფო 9“-ს არამატერიალური ქონება სააგენტოს მენეჯმენტს გადასცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-სთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ სააგენტოს არამატერიალური ქონება – ბრენდი, სახელი – „ინფო 9“, ვებმისამართი, არქივით სარგებლობის უფლება და აპარატურა ,,ინფო 9“-ის მენეჯმენტს გადაეცემა.

„საინფორმაციო სააგენტო ,,ინფო 9“-ის თანამშრომლებმა საპარლამენტო არჩევნების დროს სამოქალაქო გმირობა გამოიჩინეს. ეს ის ხალხია, ვინც ტელეკამერით დაუპირისპირდა ზონდერბრიგადებს. თითოეული კადრის მოპოვებისთვის ისინი არ ერიდებოდნენ განსაცდელს და სრულიად უნიკალურ კადრებს აწვდიდნენ საზოგადოებას.

ყველანი ვაფასებთ საქმისადმი მათ ერთგულებასა და თავდადებას. არ შემიძლია არ გავითვალისწინო მათი სურვილი, გააგრძელონ საქმიანობა, ამიტომ მე და ჩემი ოჯახი ვითვალისწინებთ საინფორმაციო სააგენტო ,,ინფო 9“-ის მენეჯმენტის თხოვნას და თანხმობას ვაცხადებთ, ჩვენს საკუთრებაში არსებული საინფორმაციო სააგენტოს არამატერიალური ქონება – ბრენდი, სახელი – „ინფო 9“, ვებმისამართი და არქივით სარგებლობის უფლება გადაეცეს ,,ინფო 9“-ის მენეჯმენტს.

რაც შეეხება სააგენტოსთვის აპარატურის მცირე ნაწილის განვადებით და გამოსყიდვის უფლებით გადაცემას, როგორც ამას მენეჯმენტი ითხოვს, ჩვენ გადავწყვიტეთ ვაჩუქოთ ის აპარატურა, რომელიც პირველ ეტაპზე საჭიროა სააგენტოს ფუნქციონირებისთვის“.

„ექსპრესნიუსი“

მსოფლიო ახალი ომის მოლოდინში

საქართველოში 2008 წელი განმეორდება?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ბოლო რამდენიმე დღეა, სირიის მრავალთვიანი კონფლიქტი უკიდურესად დაიძაბა. მოვლენათა ესკალაციას ხელი აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მიერ 31 აგვისტოს გაკეთებულმა განცხადებამაც შეუწყო: „გადავწყვიტე, სირიის წინააღმდეგ გამოვიყენო სამხედრო ძალა!“ ობამა ამ საკითხზე ნებართვას გაერო-ს უშიშროების საბჭოსგან ელოდა, ხოლო დებატები სირიის თემაზე 9 სექტემბერს უნდა შემდგარიყო, თუმცა უკვე პირველ სექტემბერს გაირკვა, რომ ობამას სირიაზე იერიშის დაწყება იმ შემთხვევაშიც შეუძლია, თუ კონგრესისგან ნებართვას ვერ მიიღებს. გავრცელებული ცნობით, აშშ-ს პრეზიდენტი სირიის თემის განხილვას პეტერბურგში, 4-5 სექტემბერს „დიდი ოცეულის“ სამიტის მონაწილეებთანაც გეგმავს. თავიდანვე ცხადი იყო, რომ სირიის შიდაკონფლიქტი საერთაშორისო სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა, თუმცა საქართველო რეალურ საფრთხეებს იმ შემთხვევაში შეიგრძნობს, თუ სამხედრო ინტერვენციის ერთ-ერთი ირიბი ან პირდაპირი მონაწილე ქვეყანა გახდება. ეს კი, ფაქტობრივად, გარდაუვალია. რა ადგილი უკავია ჩვენს ქვეყანას ამ დიდ გეოპოლიტიკურ გადანაწილებაში, რა საფრთხეების წინაშე აღმოვჩნდებით აშშ-ს მიერ სირიაზე იერიშის მიტანის შემდეგ და როგორი უნდა იყოს ქართული მხარის ოპტიმალური პოზიცია ამ კონფლიქტში — „ვერსიასთან“ ერთად, არსებულ ვითარებასა და მოსალოდნელ საფრთხეებს სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე რუსეცკი აანალიზებს.

— სირიაში სამოქალაქო ომია. დაპირისპირებულ მხარეებს — მთავრობასა და ოპოზიციას კი მხარს სხვადასხვა გეოპოლიტიკური ცენტრები უჭერენ. სირიის კონფლიქტი შიდადაპირისპირებიდან საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად, ფაქტობრივად, უკვე გადაიქცა. საინტერესოა ისიც, რომ ეს სირიის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების პირველი ფენომენი არ არის. პირველად ეს 2008, შემდეგ კი 2012 წელს მოხდა, თუმცა მაშინ არ დადასტურდა, რომ სამთავრობო რეჟიმმა იარაღი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენა. რეალურად, ამ საერთაშორისო კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი იარაღი, ახლაც და მაშინაც, საინფორმაციო ომი იყო. სირიის კონტექსტში, არა მხოლოდ ქიმიური, ბირთვული იარაღის გამოყენებაზეც იყო საუბარი. 2012 წლის 23 ივლისს სირიის ხელისუფლებამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მათ ქიმიური იარაღი გააჩნიათ და მისი დანიშნულებაც გარკვეულია — ოფიციალური განცხადებების თანახმად, იგი მათ ისრაელთან ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად სჭირდებათ.

— ახლაც კეთდება განცხადებები, რომ ამ დაძაბულ ვითარებაში სირიამ, შესაძლოა, ისრაელს დაარტყას.

— იმის საშიშროება, რომ სირია ვინმეს დაარტყამს, თეორიულად, სულ არსებობს, უბრალოდ, დღეს მათი შიდაკონფლიქტი ისრაელის წინააღმდეგ კამპანიების დაწყების საშუალებას არ იძლევა. აქ საინტერესო ისაა, რომ სირიის ქიმიური იარაღის დამზადებაში მონაწილეობა საბჭოთა კავშირმა, გერმანიამ, ჰოლანდიამ, საფრანგეთმა, შვეიცარიამ, ეგვიპტემ, ავსტრიამ და ბრიტანეთმა მიიღეს.

— ამ დროს, საფრანგეთმა სირიის მისადგომებთან თავისი ფლოტი უკვე შეიყვანა, რუსული საინფორმაციო საშუალებები კი იუწყებიან, რომ ამერიკის თავდასხმის შემდეგ სირიაზე, რუსეთი თავის ჯარებს ბალტიისპირეთის ქვეყნებში შეიყვანს. რა მოხდება ამ შემთხვევაში რეგიონში?

— ასეთ განცხადებებს ზოგიერთი ექსპერტი და პოლიტიკანი მართლაც აკეთებს, თუმცა პირველ რიგში, სირია ახლო აღმოსავლეთის ფორმატში უნდა მოვიაზროთ, სადაც ჩამონათვალში კავკასია, შესაბამისად, საქართველო, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნები შედის. ირანი აქტიურად უჭერს მხარს ასადის არა მარტო რეჟიმს, არამედ ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებსაც კი, როგორებიცაა: ქურთ მუშათა პარტია, „ჰესბოლა“, პალესტინელი ისლამისტები. ეს ძალები სირიის ტერიტორიაზე იმყოფება და ისრაელს უპირისპირდებიან. ერთი მხრივ, ირანი ამ ორგანიზაციების დაცვას ცდილობს, მეორე მხრივ, დასავლური შეიარაღებული ძალები, ნატო-ს ფორმატში თუ მის გარეშე, ამ ორგანიზაციებს ღიად ემუქრებიან, ობამა კი, მზადაა, სირიას მარტომაც დაარტყას. იერიშის ოფიციალური მოტივი ქიმიური იარაღის გამოყენებაა, რეალურად კი, იქ მყოფი მცირე ოპოზიციური ძალები მხარდაჭერას ითხოვენ. მათ იარაღით დასავლეთის ქვეყნები უზრუნველყოფენ, რაც აშკარაა. ახლა სირიის ოპოზიცია მძიმე შეიარაღებას ითხოვს, უკვე ტანკებსა და სხვა მძიმე ტექნიკაზეა საუბარი. მალე კონფლიქტი სულ სხვა დონეზე განვითარდება — არა მხოლოდ სირიასა და დასავლეთს, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის.

— თუ ძალიან ხმამაღალი განცხადება არ არის, მესამე მსოფლიო ომის კონტურები იკვეთება?

— ჯერ ასე თამამად მართლა ვერ ვიტყვით, მაგრამ იმის საფრთხე, რომ სირიის კონფლიქტი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ შეიარაღებულ კონფლიქტად იქცეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, ნატო და მასთან მოთანამშრომლე ქვეყნები თავიანთ ჯარებს ერაყიდან სირიაში შეიყვანენ. ერაყში ქართული კონტინგენტიც დგას ანუ სამხედრო დაპირისპირების უშუალო მონაწილენი ვხდებით — რას მოუტანს ეს ქვეყანას?

— თუ ამ საერთაშორისო კონფლიქტში ჩაგვითრიეს, საქართველოს პირდაპირი საფრთხე ემუქრება. ეს საფრთხე კი, დავაკონკრეტებ, ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან გველის. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთან და არამხოლოდ ჩვენთან, შტატებისა და დასავლური ქვეყნების პოლიტიკა ნდობას კარგავს და, შესაბამისად, იზრდება სხვა გეოპოლიტიკურ ცენტრებთან ორიენტაციის სურვილი. მაგალითად, რუსეთის ფედერაცია, მოსკოვი ეს რეალური გეოპოლიტიკური ცენტრია. თუ ამაზე საუბარი საქართველოში ადრე მარგინალობად მიიჩნეოდა, ახლა ჩრდილოური პოლიტიკის ლეგალიზაცია ხდება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ შემთხვევაში, საქართველოსთვის ნატო-სთან თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები გამოჩნდეს.

დასასრული მე-4 გვერდზე

ქართული ქვედანაყოფის როტაცია ავღანეთში

ქაბულში, ბაზა „ფენიქსის“ დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-13 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ერთი გაძლიერებული ოცეული.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, გაძლიერებული ოცეულის სამხედრო მოსამსახურეები ექვსი თვის განმავლობაში ბაზის შიდა და გარე პერიმეტრის პატრულირებას და ბაზის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა დავალებებს შეასრულებენ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამშვიდობო ოცეულმა ავღანეთში მყოფი დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების გაძლიერებული ოცეული როტაციის წესით ჩაანაცვლა.

ოფიციალური გადაბარების ცერემონია ბაზა „ფენიქსზე“ გაიმართა. ღონისძიებას საფრანგეთის, კანადის, პორტუგალიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და იორდანიის უფროსი სამხედრო წარმომადგენლები და ქვედანაყოფის მეთაურები დაესწრნენ.

ცერემონიაზე ქართველ ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა პოლკოვნიკმა ალექსანდრე კიკნაძემ და პოლკოვნიკმა სილვესტერ ქენონმა, რომელმაც ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის გაძლიერებული სამშვიდობო მსუბუქი ქვეითი ოცეული ალაბამას შტატის პატივისცემის მედლებით დააჯილდოვა.

საერთაშორისო მისიაში მონაწილეობისთვის მე-13 ბატალიონის ოცეულის ჯარისკაცები ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ ემზადებოდნენ — სპეციალური სწავლება 8 კვირის განმავლობაში ტაქტიკურ და საცეცხლე მომზადებაში, ტოპოგრაფიაში, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და ნავიგაციაში გაიარეს. სრული სპექტრის ოპერაციებისთვის I ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცებს ეროვნული სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორები ამზადებდნენ.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა

სამართლდამცავებმა სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1968 წელს დაბადებული ვაჟა შ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით, სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თურქეთიდან სხეულით 5 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ შემოიტანა, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,04 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება „ბუპრენორფინს“ შეიცავს.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ დაკავებისას ვაჟა შ. ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ზურაბ ხარატიშვილის „მესამე გზა“

აიძულა თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატობა ვანო მერაბიშვილმა ცესკო-ს ყოფილ თავმჯდომარეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ვარაუდი გამართლდა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს კიდევ ერთი მონაწილე, ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი შეემატა. ხარატიშვილმა ცესკო-ში განაცხადი 31 აგვისტოს შეიტანა, 30 აგვისტოს კი სპეციალური ბრიფინგი ჩატარდა, სადაც მისი კანდიდატურა ოფიციალურად პაატა დავითაიას პარტია „ევროპელმა დემოკრატებმა“ წარადგინა, ედპ-სთან ერთად.

როგორც **პაატა დავითაიამ** განაცხადა, ზურაბ ხარატიშვილმა კარგი არბიტრობა 2012 წლის არჩევნებზე უკვე დაამტკიცა და რაკი მომავალი პრეზიდენტის მთავარი ფუნქციაც ოცნება-ნაციონალებს შორის არბიტრობა უნდა იყოს, ამ ფუნქციას ხარატიშვილი სხვებზე უკეთ შეითავსებს: **„ბატონი ზურაბის ინიციატივით, დაწყებულია მოლაპარაკებები ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით. კონსულტაცია დღესაც გრძელდება სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და გაერთიანებებთან, თუმცა ნებისმიერმა პოლიტიკურმა ცენტრმა უნდა გადადგას პოლიტიკური ნაბიჯები. პირველი პოლიტიკური ნაბიჯი, რაც ამ ეტაპზე უნდა გადაგვედგა, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაა და ჩემმა პარტიამ ზურაბ ხარატიშვილს შესთავაზა, ჩვენგან ეყარა კენჭი არჩევნებში. კონსულტაციების შედეგად, ხარატიშვილისგან თანხმობა მივიღეთ, ამიტომ ჩვენ, როგორც კვალიფიციურმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა, გადავწყვიტეთ, წარვადგინოთ ზურაბ ხარატიშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად. პრეზიდენტის პოსტი, კონსტიტუციიდან გამომდინარე, არბიტრის ფუნქციას უფრო ითავსებს. შეიძლება ითქვას, ხარატიშვილი ძალიან კარგი არბიტრი გამოდგა 2012 წელს, როცა ხელისუფლების გადაბარება არჩევნების გზით მოხერხდა, ამიტომ ვუჭერთ მხარს მის კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე, რადგან ორი პოლიტიკური ძალის ჭიდილში, ის კვლავაც კარგი არბიტრი იქნება“.**

ხარატიშვილის შემოთავაზებაში, საქართველოში ე.წ. ცენტრისტული, ზომიერი და პროდასავლური პოლიტიკური ძალების გაძლიერების შესახებ „მესამე გზა“ დაინახა ედპ-ს ლიდერმა **ბაჩუკი ქარდავამ: „ქალაქში ხშირად გხვდებათ ცესკო-ს სარეკლამო ბანერი — „პრეცედენტები ქმნის ტრადიციას“. საქართველოში მოხდა პრეცედენტი და ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. ზურაბ ხარატიშვილი სწორედ ამ ფაქტისა და პრეცედენტის თანამონაწილეა. ჩვენთვის საპრეზიდენტო არჩევნები პანაცეა არ ყოფილა, ახლა ჩვენი მთავარი მიზანი, იმ პოლარიზებულ პირობებში, რაშიც დღეს ქართული საზოგადოება და სახელმწიფო იმყოფება, პოლიტიკური ვითარების შეცვლაა. ეს კი შესაძლებელია! ხალხშიც არსებობს აზრი, რომ არჩევანი ორ ძალას შორის არჩევანი არ არის, საჭიროა მრავალფეროვნება. ახლა კი გაჩნდა იდეა ზომიერი და დაბალანსებული ცენტრის, ე.წ. მესამე გზის გაჩენისა. ეს არ იქნება მხოლოდ პოლიტიკურ პარტიათა ერთობა, ამ გაერთიანებაში შეიძლება საზოგადოებისთვის ცნობადი სახეებიც იყვნენ, ასევე საზოგადოებრივი მოძრაობები. მთავარია, პროცესი დაიძრას და ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ამ მიმართულებით მუშაობას კიდევ უფრო მაღალი ტემპითა და აქტივობით გავაგრძელებთ. გარკვეული შეთანხმება სხვადასხვა პარტიებსა და ორგანიზაციებთან, ვინც დღეს აქ არაა წარმოდგენილი და ამის შესახებ საჯაროდ არ საუბრობს, უკვე არსებობს“.**

ჯერჯერობით, ორი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატმა ზურაბ ხარატიშვილმა კი ზოგადი დაპირებები გააკეთა და ახლადშექმნილი ცენტრის გასაძლიერებლად თავის გადადებას დაგვპირდა, თუმცა მის გარშემო გავრცელებულ სხვადასხვა მოსაზრებებზე არ უსაუბრია. წარდგენის შემდეგ **ზურაბ ხარატიშვილმა** „ვერსიის“ რამდენიმე კითხვას უპასუხა.

— პრეზიდენტობის სერიოზული შანსი რომ არ გაქვთ, თავადაც ხომ იცით — რეალურად, რას ემსახურებოდა თქვენი გააქტიურება სწორედ ახლა?

— ვის რა შანსი სჭირდება, აქ ამაზეა საუბარი. როცა ჩემპიონატში ფეხბურთის გუნდები თამაშობენ, შანსი ყველას აქვს, მაგრამ რეალური შანსი ვიღაცას მეტი აქვს, ვიღაცას ნაკლები. ამის მიუხედავად, მაინც ყველა თამაშობს: შედეგი ვიღაცისთვის პირველი ადგილია, ვიღაცისთვის მეორე, ვიღაცისთვის მესამე, ვიღაცისთვის კი — ათეულში მოხვედრა.

— თქვენთვის რაა შედეგი?

— ჩემი მთავარი მიზანი და შედეგი ამ ახალი პოლიტიკური ცენტრის გაძლიერება და ჩამოყალიბებაა. ეს უფრო სტარტია და კიდევ უფრო გაფართოებული და მომზადებულები ადგილობრივი არჩევნებისთვის ვიქნებით. ასევე, არც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამორიცხვა შეიძლება, საქართველოში პოლიტიკური მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება. ჩვენ ახლა არა მხოლოდ მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, არამედ მთელი მომავალი საარჩევნო კასკადისთვის ვემზადებით.

— თქვენი ერთობა ამ ორ პარტიასთან, იდეურ დამთხვევასთან ერთად, ალბათ, პრაგმატული გათვლაცაა, მათ ჰყავთ წარმომადგენლები ცესკო-ში, ასევე აქვთ სახელმწიფო დაფინანსება, არიან კვალიფიციური სუბიექტები...

— პრინციპში, ასეა — სწორედ ამ პოლიტიკური პარტიების რესურსების გამოყენება მოგვიწევს, ამიტომ მათ მიერ ჩემი წარდგენა და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. „ევროპელი დემოკრატები“ კვალიფიციური სუბიექტები არიან, რომელთაც ყველა ჩამოთვლილი რესურსი აქვთ; ედპ ყველაზე ძველი პარტიაა საქართველოში და გარკვეული რესურსები მასაც აქვს; არის ადამიანების ჯგუფიც, რომელიც ასევე აქტიურად იქნება ამ პროცესში ჩართული. საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად ყველა ეს პირობა სავსებით მისაღები და საკმარისია.

— ყველა თქვენი და ვანო მერაბიშვილის მეგობრობასა და იმაზე საუბრობს, რომ თქვენი ეს ნაბიჯი ნაციონალებზე შურისძიებას ემსახურება. მართლაც, დავით ბაქრაძეს ხმები მხოლოდ თქვენ შეიძლება წაართვათ, ყველა დანარჩენი კი „ოცნების“ კანდიდატის ხმების გამყოფია. ამას უარყოფთ?

— მე სხვა ვერსიებიც მაქვს მოსმენილი — თურმე „ოცნების“ ზოგიერთ პარტიასთან მქონია რაღაც ალიანსი. ერთ რამეზე შევთანხმდეთ: პოლიტიკაში გადაწყვეტილებებს მეგობრობისა და მტრობის გამო არავინ იღებს.

— იძულებით?

— იმას ვამბობ, რომ თუ ვიღაც შენი მეგობარია, ადგე და მის გამო მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა იქით, საითაც შენი ინტერესები არ არის, გამორიცხულია. ეს „მეგობარი“ მერაბიშვილი იქნება, ალასანია თუ სხვა, მეგობრობის გამო პოლიტიკაში არც ნაბიჯები იდგმება და არც მათი შეფერხება ხდება! აქ ყველაფერი რაციონალურ გათვლებს ემყარება.

— „ოცნებაში“ იმასაც კი ფიქრობენ, რომ მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების გაყალბება შემოგთავაზათ და ეს გადაწყვეტილება ამიტომაც მიიღეთ.

— არა, რა თქმა უნდა, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. მსგავსი არავის არაფერი შეუთავაზებია. რაც დღეს ხდება, თავიდან ბოლომდე ჩემი არჩევანია. ზომიერი ცენტრის გაძლიერება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ეს ნაბიჯიც ამითაა განპირობებული.

მე-3 გვერდიდან

— ეს დამოკიდებულია საქართველოს პოზიციაზე სირიის კონფლიქტში — მართლაც, რა არის დღეს ჩვენთვის ოპტიმალური პოზიცია?

— დღეს საქართველოში ისეთი ვითარებაა, გეოპოლიტიკური კონფლიქტებისგან თავი მაქსიმალურად უნდა დავიცვათ. დღევანდელი დაძაბული მდგომარეობა და საზოგადოების განწყობა მაფიქრებინებს, რომ

> **ჩვენი ხელისუფლება არ მიიღებს მონაწილეობას ამ შესაძლო ოპერაციებში, თუ დასავლეთისგან განსაკუთრებული ზეწოლა არ იქნება. ჩვენ სამხედრო ჩარევისგან თავი უნდა შევიკავოთ, თუკი ეს ჩარევა გაერო-ს ეგიდით არ მოხდება. გაერო-ს ეგიდის ქვეშ ჩვენი სამშვიდობო კონტინგენტის შესაძლო მონაწილეობა უარყოფითი კი არა, პირიქით, პოზიტიურია, რადგან გაერო-ს სამხედრო მისიებს განსაკუთრებული მანდატი აქვს. საერთოდ, ჩვენი დემოგრაფიის მქონე ქვეყანა უფრო ფრთხილად უნდა იყოს — არა მხოლოდ ჯარისკაცებს ვკარგავთ, არამედ საფრთხეს ვუქმნით მთელ ქვეყანას.**
> **ამ კონფლიქტში ჩვენი სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, შეიძლება, საქართველოში 2008 წელი განმეორდეს.**

მსოფლიო ახალი ომის მოლოდინში

— უფრო ზუსტად, რას გულისხმობთ — ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვას, ტერორისტული ორგანიზაციების თავდასხმებს?..

— უფრო სერიოზული ძალების ჩარევასაც ვგულისხმობ. მთავარი საფრთხე ისაა, რომ 2008 წელს დაწყებული გეოპოლიტიკურ კონფლიქტი გაგრძელდა, ახლა მისი ესკალაცია ხდება და მორიგი რაუნდი, შესაძლოა, ისევ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ხაზების მიმართულებით ვითარების გამწვავება იყოს. ახლო აღმოსავლეთში ძალთა ბალანსის გადანაწილება საქართველოსთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, მეორეა ტერორისტული საფრთხე — ყველას გვახსოვს 2008 წლის ომის რეალობა. იგი 5 აგვისტოს, ღამით დაიწყო, როცა „ქურთ მუშათა პარტიამ“ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენის აფეთქებაზე პასუხისმგებლობა აიღო. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ამავე დროს, რუსეთის ავიაციის მხრიდან ნავთობსადენზე გამაფრთხილებელი საავიაციო თავდასხმები მოხდა. სხვადასხვა არაბულმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა კი ომის შემდეგ აფხაზეთის დამოუკიდებლობა მაშინვე აღიარეს ანუ ეს ერთი დიდი თამაშის გეგმა იყო და ამ ტერორისტული პოლიტიკის უკან ისეთი მსხვილი გეოპოლიტიკური აქტორები დგანან, როგორიცაა მოსკოვი, პეკინი და თეირანი! ეს გეოპოლიტიკური ბრძოლა რუსეთ-ამერიკას შორის ნავთობსადენებზე, გაზსადენებსა და სატრანზიტო გზებზე სულ მიმდინარეობს და ნებისმიერი კონფლიქტი, როგორიც ახლა სირიაშია, ტალღოვან ეფექტს იწვევს ჩვენი ქვეყნის მიმართულებითაც. უდავოდ, დაიწყება ახალი ვაჭრობა-გადანაწილება — მოდი, მე ამ ტერიტორიიდან გამოვალ და შენ ამ ტერიტორიაზე შედიო.

— ჩვენ რომელ დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშესთან აღმოვჩნდებით, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ რუსული პოლიტიკა ჩვენთან ლეგალური ხდება?

— ჯერჯერობით, ამ პროცესის დინამიკა ანტიდასავლურია, რასაც ხელს არა მხოლოდ რუსეთის ფედერაცია, არამედ თავად დასავლეთიც უწყობს, თავისი უგნური ქცევებით. ბარაკ ობამას შეიძლება წყალი შეუდგეს, თუ ისეთ სერიოზულ და პლუს, მოუმზადებელ ჩარევას განაგრძობს სხვადასხვა ქვეყნებში, როგორიც, მაგალითად, ერაყის შემთხვევაში დაუშვა. სირიის სცენარი ახლა სწორედ ამას ჰგავს. არ მინდა, საქართველოსთან მიმართებაში ტერორიზმის საფრთხეებზე უფრო დაწვრილებით საუბარი, მით უმეტეს, არის პრეცედენტი, რომ ამის წინასწარ, საჯაროდ განხილვა, ასე ვთქვათ, ვიღაცისთვის იდეების მიწოდების ტოლფასია. ვიცით, რომ ეს საფრთხე არსებობს და ამისთვის უფრო სერიოზულად უნდა მოვემზადოთ. ვფიქრობ, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის პოზიცია ასეთია — ჩვენი ჯარები არ უნდა შევიდნენ სირიაში!

— ამ იძულებითი თანამშრომლობისგან თავის დაღწევას მოვახერხებთ?

— ბოლოს და ბოლოს, ამ კონფლიქტში მონაწილეობის სხვადასხვა ფორმატი არსებობს. არ არის აუცილებელი, სირიაში ჩვენი შეიარაღებული ძალები შევიდეს — შეგვიძლია ექიმები, ინჟინრები გავგზავნოთ, განაღმვითი ოპერაციები ჩავატაროთ... ანუ არსებობს ჩარევის მინიმალიზაციის სხვადასხვა ფორმა. ჩემი აზრით, საერთოდ არ ღირს ამ კამპანიაში ჩვენი მონაწილეობა, მაგრამ თუ ამის გარდაუვალი საჭიროება დადგება, მაშინ ისე უნდა მოვიქცეთ და ისეთი ფორმა შევარჩიოთ, სხვადასხვა ძალები ზედმეტად არ გავაღიზიანოთ და ჩვენს წინააღმდეგ არ განვაწყოთ. პირველ რიგში, თავის გამოდებას უნდა შევეშვათ — ნუ ვიქნებით რომის პაპზე უფრო კათოლიკეები!

ვერსიანიუსი

თელავში სტალინის ძეგლი უნებართვოდ დადგეს

იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის (სტალინი) ძეგლი თელავში ორგანიზაცია „სტალინელისა“ და ვეტერანთა კავშირის ორგანიზებით გაიხსნა.

მონუმენტი შემოწირულობების მეშვეობით ააგეს. გახსნის ცერემონიაზე ვეტერანებმა სტალინის მოღვაწეობაზე ისაუბრეს და მასზე ლექსები წაიკითხეს.

სტალინის ძეგლის გახსნას, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გამოეხმაურა. დიმა ბოჭორიძემ განაცხადა, რომ მონუმენტის გახსნის შესახებ მედიით შეიტყო. მისი თქმით, ძეგლის დადგმაზე საკრებულოს ნებართვა არ გაუცია: **„ძალიან სამწუხარო ფაქტია, საკრებულოს ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით არანაირი ნებართვა არ გაუცია. ვფიქრობ, მონუმენტი დემონტაჟს დაექვემდებარება, რადგან ის მოქალაქეთა ჯგუფმა თვითნებურად დადგა“.**

„ვერსიანიუსი“

შემოვლით რკინიგზას შემოვლითი საავტომობილო გზა ჩაანაცვლებს?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელებისა და ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი დაკონსერვდა. ამჟამად შესაბამისი უწყებები სწავლობენ, ზოგადად, რამდენად ეფექტური იყო ამ პროექტის განხორციელება, რა ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას და საერთოდ, ღირს თუ არა მისი დასრულება. გამორიცხული არ არის, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ნაცვლად, შემოვლითი საავტომობილო გზის პროექტი მივიღოთ, რაც დედაქალაქის ცენტრში, გადატვირთულ საავტომობილო მოძრაობას განტვირთავს.

რატომ დააკონსერვა მთავრობამ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი და დადგება თუ არა გიგი უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი?

რატომ დაკონსერვდა შემოვლითი რკინიგზის პროექტი?

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტს ს/ს „საქართველოს რკინიგზა“ ახორციელებს. 2010 წლის 14 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს კი ს/ს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფისა“ და ს/ს „ხიდმშენის“ (ქართულ-ჩინური ერთობლივი კონსორციუმი) ატარებს. ხელშეკრულების მიხედვით, კონტრაქტორი ვალდებული იყო, სამშენებლო სამუშაოები 2013 წლის 8 ივლისამდე დაესრულებინა, მაგრამ ეს პირობა დაირღვა.

„საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობამ ავსტრიული კომპანია MC mobility მოიწვია, რომელმაც შემოვლითი რკინიგზისა და არსებული სარკინიგზო მონაკვეთის შედარებითი, ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი მოამზადა. გარდა ამისა, „საქართველოს რკინიგზამ“ აუდიტორულ კომპანია Ernst and Young-ს, თბილისის შემოვლითი რკინიგზის დასრულების შემდგომ, დედაქალაქში გამოთავისუფლებული ტერიტორიაც შეაფასებინა. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფართი 73 ჰექტარია, ხოლო კონსულტანტთა მიერ განსაზღვრული საბაზრო ღირებულება, მხოლოდ 30 000 000 აშშ დოლარი. სინამდვილეში, პროექტის არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, უკვე 213 000 000 აშშ დოლარია დახარჯული, დასახარჯია 137 000 000 აშშ დოლარი, მაგრამ საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანია MC mobility-ს მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, პროექტის სრულყოფილად დასრულებისთვის დამატებითი ინვესტიციებიც იქნება საჭირო.

ავტორიტეტული უცხოური კომპანიის დასკვნას ადეკვატური რეაქცია მოჰყვა და 5 აგვისტოს, ეკონომიკის მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის საპროექტო სამუშაოები შეწყდა. კვირიკაშვილის თქმით, აუცილებელი იყო საკითხის შესწავლა და, შესაბამისად, პროექტი დაკონსერვდა. მეორე დღესვე, კვირიკაშვილის განცხადებას თბილისის მერი გიგი უგულავა გამოეხმაურა. მისი თქმით, თუ ივანიშვილის მთავრობა თბილისის შემოვლითი გზის პროექტს თბილისის მერიაში შეიტანს, ქალაქის მუნიციპალიტეტი ყოველგვარი პრობლემების გარეშე დაამტკიცებს.

2009 წლის მარტში, შპს „საქართველოს რკინიგზამ“ მიმართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების („იბიარდი“) და ევროპის საინვესტიციო ბანკებს. მათ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასაფინანსებლად 350 000 000 ევრო გამოყვეს. ამ პროექტის მთავარი მიზანია, სახიფათო ტვირთის (ნავთობისა და ნავთობპროდუქტების) სატრანზიტო გადაზიდვები, მჭიდროდ დასახლებული დედაქალაქის ცენტრიდან ქალაქის ფარგლებს გარეთ გადასულიყო. პროექტით გათვალისწინებულიყო თბილისის ცენტრალური ნაწილის შემოვლითი, ახალი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა და „დიდუბისა“ და „ნავთლუღის“ არსებული სარკინიგზო სადგურების მოდერნიზება. პროექტის თანახმად, გამოთავისუფლებული ტერიტორიების ხელახალი განაშენიანება ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილის განვითარებას ხელს შეუწყობდა.

შემოვლითი რკინიგზის პროექტი უნდა შეიცვალოს?

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის შეჩერების შესახებ „ვერსიას“ პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა, გია ხუხაშვილმა ჯერ კიდევ მაშინ განუცხადა, როდესაც პარლამენტარმა მარიკა ვერულაშვილმა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა დატოვა. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ ერთ-ერთი ვერსიით, მარიკა ვერულაშვილის ეს გადაწყვეტილება შემოვლითი რკინიგზის სკანდალს უკავშირდებოდა, როდესაც თბილისის მერის, გიგი უგულავასა და შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ინტერესები გადაიკვეთა. მარიკა ვერულაშვილის მეუღლე და მისი მეგობარი კი იმ ქართულ-ჩინურ კონსორციუმში მუშაობდნენ, რომელიც ამ პროექტს ახორციელებს. ვანო მერაბიშვილმა დეპუტატის მეუღლე და მისი მეგობარი ჯერ დააკავა, შემდეგ კი გაუშვა, ამით გიგი უგულავას საკუთარი უპირატესობა დაუმტკიცა, რადგან შემოვლითი რკინიგზის პროექტის ტენდერში, კონსორციუმმა გიგი უგულავას ხელშეწყობით გაიმარჯვა...

გია ხუხაშვილმა ისიც განგვიცხადა, რომ ეს პროექტი უნდა შეჩერებულიყო, რადგან სააკაშვილის ხელისუფლებას არავითარი დასკვნა არ გაუკეთებია — რა ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს ქვეყანას მისი განხორციელება. როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრის მრჩევლის პოზიცია შესაბამისმა უწყებებმა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გაიზიარეს და პროექტი შეაჩერეს. „ვერსიას“ **გია ხუხაშვილი** ესაუბრება:

— თავიდან, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ პროექტი ჩაიფიქრა და განხორციელება დაიწყო, ბოლომდე არ გათვალეს, რა ეფექტი მოჰყვებოდა ამას, რადგან ყველაფერი ვირტუალური კეთილდღეობის საფუძველზე ააგეს, რაც თბილისში, მშენებლობის ეგრეთ წოდებულ ბუმს უკავშირდებოდა. ჩემი აზრით, სხვადასხვა დეველოპერებისა და მშენებლების ინტერესების გათვალისწინებით, გადაწყდა, რომ ქალაქის ზოლში, მომავალი მშენებლობისთვის გარკვეული ფართობი გამოეთავისუფლებინათ. გარდა ამისა, ეს იყო მასშტაბური პროექტი, რომლის განხორციელებით, ორ კურდღელს დაიჭერდნენ, ერთი — პროექტიდან ფულს იშოვიდნენ, რადგან ასეთ ძვირადღირებულ პროექტებზე ხელის მოთბობა კარგად შეიძლება და მეორე — მიწის ფართობების გამოთავისუფლებითა და მათი რეალიზებითაც სარგებელს ნახავდნენ. ამ პროექტის შეჩერების შესახებ, გიგი უგულავას კომენტარებიც მოვისმინე, რომელმაც თქვა, რომ თურმე, სასწორის ერთ თეფშზე — თბილისის და მეორეზე — ერთი კომპანიის, ანუ „საქართველოს რკინიგზის“ ინტერესები დევს. ასეთი შეფასება ცინიკურად ჟღერს იმ ქალაქის მერისგან, რომელმაც კარგად ვნახეთ, რას დაამსგავსა თბილისი, გაჩეხეს, გააუბედურეს ყველაფერი, ძველ ქალაქს სახე დაუკარგეს და თბილისის ცენტრი მშენებლობებით გაავსეს. როდესაც ასეთი მერი ქალაქის ინტერესებზე საუბრობს, მართლაც სამწუხაროა. რაც მთავარია, ყველა ნორმალურ ქალაქში, ცენტრალური სადგური ცენტრში მდებარეობს, რათა ადამიანებისთვის მოსახერხებელი იყოს რკინიგზაზე გადაადგილება. გასაგებია, რომ გარკვეულწილად, ეს ეკოლოგიას აზიანებს, მაგრამ ზიანი იმდენად მცირეა იმ ნეგატივთან შედარებით, რაც შესაძლოა, მისმა გადატანამ მოუტანოს ქვეყანას, რომ ამაზე საუბარიც კი არ ღირს. თავი დავანებოთ იმას, რომ შემოვლითი რკინიგზა საკმაოდ ძვირი ჯდება, ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, მგზავრობა საგრძნობლად გაძვირდება, სიჩქარეც დაიკლებს და, შესაბამისად, ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, როდესაც მთავარი ამოცანა სატრანზიტო ტვირთებზე სიჩქარის მომატებაა, ამის ნაცვლად, სიჩქარის შენელება და პლუს, გაძვირება, წარმოუდგენელი სისულელე იქნებოდა. სამწუხაროა, რომ საკმაოდ დიდი თანხაა დახარჯული და არც ნაჩქარევი დასკვნის გაკეთება მინდა, მაგრამ პროექტის მოდიფიცირება სრულიად შესაძლებელია. სხვა დეტალებისგან თავს შევიკავებ, რადგან ეს საკითხი შესწავლის ფაზაშია და შესაბამისი უწყებებისგან საბოლოო გადაწყვეტილებებს ველოდები.

— ბატონო გია, პროექტის მოდიფიცირებაში შემოვლითი რკინიგზის მარშრუტის ცვლილებას გულისხმობთ?

— არა, მაგრამ ის სამუშაოები, რომელიც უკვე ჩატარდა, შესაძლოა, შემოვლითი საავტომობილო გზისთვის გამოვიყენოთ, რაც ასე უჭირს თბილისს. არ იფიქროთ, რომ კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე გესაუბრებით, გიმეორებთ, შესაბამისი უწყებები ამ საკითხზე მუშაობენ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ისინი მიიღებენ. მე მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას ვგულისხმობ. ფაქტობრივად, შემოვლითი საავტომობილო გზისთვის უკვე ყველაფერი გამზადებულია, მხოლოდ პროექტის მოდიფიცირებაა საჭირო. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნება, თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ავტომობილები იმოძრავებენ ამ მიმართულებით, შედეგად კი, ქალაქში მოძრაობა განიტვირთება. როგორც ხედავთ, ალტერნატივა არსებობს, მაგრამ არ მინდა, ნაჩქარევი განცხადებები გავაკეთო.

— იმის გათვალისწინებით, რომ გიგი უგულავა აჩქარდა, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება?

— არ მინდა, ყველაფერი გიგი უგულავას ავკიდო, რადგან ეს პროექტი სააკაშვილის მმართველობის დროს განხორციელდა. პრეზიდენტი სწორედ ასე იწყებდა პროექტებს. ერთი მხრივ, გიგანტომანია სჭირდა, მეორე მხრივ, ფულის გარეცხვის დიდოსტატები იყვნენ და ყველა ინტერესს ერთმანეთს უკავშირებდნენ, მასშტაბური პროექტების განხორციელებით კი ხელსაც კარგად ითბობდნენ. რკინიგზასთან დაკავშირებით, მეორე პროექტს შეგახსენებთ, რომელიც პირადად, სააკაშვილის ინიციატივა იყო — რკინიგზა სადგურიდან აეროპორტში გაიყვანეს. ამ „ელექტრიჩკაში“ ცოცხალი ადამიანი ჯერ არავის უნახავს. არადა, თუ არ ვცდები, ეს პროექტი სახელმწიფოს 18 000 000 აშშ დოლარი დაუჯდა. ცენტრში მცხოვრები ჯერ სადგურზე უნდა გავიდეს და იქ ჩაჯდეს მატარებელში, რომლითაც აეროპორტში წავა. ამას ხომ არავინ გააკეთებს. ასეთი გაუაზრებელი პროექტებით იყო დაკავებული ყოფილი ხელისუფლება და რკინიგზასაც ყოვლად გაუმართლებელი ხარჯები აჰკიდეს. თანხა, რომელიც შემოვლით რკინიგზაზე დაიხარჯა, სამწუხაროდ, სახელმწიფოს ვალად ადევს. ცუდია, რომ შემოვლითი რკინიგზის პროექტი დაკონსერვდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებას აუცილებლად უნდა მიეღო.

ვერსიანიუსი

აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გაიხსნა

რუსთავში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის იურიდიულ სამმართველოში, 2008 წლის ომში ცხინვალის მისადგომებთან, სოფელ ერედვში დაღუპული ოთხი გმირის: გოჩა ილურიძის, ბესიკ მამიაურის, გიორგი აბიათარის და ილია შავერდაშვილის მემორიალი გაიხსნა.

მემორიალის გახსნას დაღუპულების მშობლები და ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. ომის დაწყებამდე აღნიშნული გმირები სამხედრო სავალდებულო სამსახურს გადიოდნენ.

„ნიუპოსტი“

აკრძალული ფსიქოტროპული მედიკამენტის შენახვისა და რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, აკრძალული ფსიქოტროპული მედიკამენტი „კოდელაკის“ შენახვისა და რეალიზაციის ფაქტზე, მოქალაქე სოლომონ გიორგიშვილი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული, გორის რაიონის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 44 800 აბ აკრძალულ ფსიქოტროპულ მედიკამენტ „კოდელაკს“ ინახავდა და შემდგომ მის რეალიზაციას ახორციელებდა.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

„ვერსიანიუსი“

რუსეთი მეზობლებს აშინებს

The New York Times

ამ სათაურით THE NEW YORK TIMES სტატიას აქვეყნებს. ავტორი სტივენ ბლენკი მიმოიხილავს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

შეიძლება გამოგრჩათ, მაგრამ 14 აგვისტოს რუსეთმა გამაფრთხილებელი ეკონომიკური ცეცხლი გაუხსნა უკრაინას. იმ დღეს, რუსეთის საბაჟო სამსახურმა საბაჟო პროცედურები გაამკაცრა, რითაც ფაქტობრივად, აკრძალვა შემოიღო ყველა ტიპის უკრაინული პროდუქტის შეტანაზე რუსეთში. ეს ყველაფერი კიევს შეიძლება 2.5 მილიარდ დოლარზე მეტ სავაჭრო ზიანად დაუჯდეს წლის ბოლოსთვის. ეს ნაბიჯი, ჩანს, უკრაინისათვის მოულოდნელი იყო. არანაირი ოფიციალური მიზეზი არ თქმულა, მაგრამ მოსკოვი იშვიათად ცდილობს ახსნას, რატომ აწესებს სანქციებს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

რამდენიმე დახურული ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ რუსეთსა და უკრაინას შორის მოსკოვმა საბაჟო შემოწმება შეწყვიტა.

მოსკოვის უკრაინაზე თავდასხმის მიზეზი ცხადია: კიევი ეწინააღმდეგება მოსკოვის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრინებას – ბლოკში, რომელიც პრეზიდენტ პუტინის ძალისხმევის ცენტრალური ელემენტია ისეთ საქმეში, როგორიცაა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (ბალტიისპირეთის გარდა) ხელახალი თავმოყრა რუსეთის ფრთისქვეშ. უკრაინა პირიქით, მიისწრაფვის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისკენ, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმებას, რასაც ხელი უნდა მოეწეროს ნოემბერში, ვილნიუსში. ეს მას სუვერენიტეტის განმტკიცების შესაძლებლობას მისცემს და ნაკლებად დამოკიდებულს გახდის რუსეთზე, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. ასე რომ, მოსკოვი ახლა კიევის დასჯას ცდილობს.

უკრაინა არ არის ერთადერთი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც მოსკოვისგან ეკონომიკურ ზეწოლას განიცდის. ამ ზაფხულში რუსეთმა სომხეთს ენერგომატარებლებზე ფასი გაუძვირა იმის ნიშნად, რომ უკმაყოფილო იყო ერევნის მოლაპარაკებებით თავისუფალ ვაჭრობაზე ევროკავშირთან. მან ასევე 4 მილიარდი დოლარი გაიღო შეიარაღებაში სომხეთის რეგიონული მტრის, აზერბაიჯანისთვის, რითაც მკვეთრად გაზარდა ამ ორ ქვეყანას შორის სამხედრო კონფრონტაციის შანსი.

მოსკოვის რისხვას ტაჯიკეთიც კი ვერ გადაურჩა: რუსეთს ჩვევაში გადაუვიდა ფედერაციაში მომუშავე ტაჯიკ მიგრანტებზე თავდასხმა, რომელთაც ფულის გადარიცხვებს (რაც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი ქვეყნის ეკონომიკის შენარჩუნებისთვის) დამსაქმებლები ხშირად უკავებენ.

რუსეთს წნეხში ჰყავს ბელორუსიც, რათა აიძულოს, მიჰყიდოს მოსკოვს ბელორუსის გაზის მილსადენებისა და შიდაგამანაწილებელი ქსელის საკონტროლო პაკეტი. ამ ტიპის ეკონომიკური იძულება სიტყვებზე უკეთ მეტყველებს რუსეთის გეოპოლიტიკურ შეხედულებებზე. კრემლი ღიად ლახავს მისი მეზობლების დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს.

მხოლოდ ევროკავშირმა დაგმო რუსეთის ქმედება უკრაინის მიმართ. შეერთებულ შტატებს არაფერი უთქვამს. ის, რომ ვაშინგტონი და ევროკავშირი ვერ ახერხებენ შეთანხმებული პოლიტიკის არტიკულირებას აღმოსავლეთ ევროპის, უკრაინის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართ, მოსკოვის მხრიდან ინტერპრეტირებულია, როგორც რუსეთის გავლენის სფეროს უხმო აღიარება ყოფილ საბჭოთა სივრცეზე და ერთგვარი ლიცენზია მოსკოვისთვის იქ ბატონობის აღდგენაზე. ფსონები მაღალია. იმ შემთხვევაშიც, თუკი უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, ტაჯიკეთი და სხვები არ არიან ლიბერალური დემოკრატიის მაგალითები, მათი დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება უნდა შედიოდეს შტატების და მისი ევროპელი მოკავშირეების ინტერესებში. პუტინს შეუძლია სჯეროდეს, რომ საბჭოთა კავშირის კოლაფსი მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფაა, მაგრამ დასავლეთის პოლიტიკის მარცხმა ევრაზიაში, არ უნდა წაახალისოს მისი განცდა, თითქოს მას სსრკ-ს აღდგენა შეუძლია. ეს ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა.

„ნიუპოსტი“

რუსეთი საქართველოში „რელიგიურ ომს“ აღვივებს?

დავით დევიძე
593-219-042

ანალიტიკოსების მოსაზრებით, როცა ქვეყნის სხვადასხვა წერტილში ერთდროულადაა რელიგიური კონფლიქტის გაღვივების მცდელობა, ეს ეშმაკის ოინები სულაც არაა. მეტიც, საქმე გაცილებით რთულადაა, რადგან, იმავე ექსპერტების აზრით, პანკისში, ადიგენში, სამთაწყაროსა თუ წინწყაროში ქრისტიანი და მუსლიმი ქართველების დაპირისპირებას „ეშმაკზე ბნელი ძალები“ მართავენ. არსებობს ანალიზის რამდენიმე ვარიანტი: ერთის თანახმად, „მეჩეთების ომის“ უკან ნაციონალური მოძრაობა დგას. ამ ვერსიას ალოგიკურობას ვერავინ დასწამებს, მაგრამ მაინც ძნელია დაიჯერო, რომ ქვეყანაში არეულობის შემოტანის მცდელობა თუნდაც ყოფილ ხელისუფლებას აქვს.
მეორე ვერსიის მიხედვით, უკმაყოფილო ქართველი მუსულმანების უკან კრემლის ინტერესები იკვეთება. აქაც არის მყარი ლოგიკა. რუსეთს დიახაც რომ აწყობს საქართველოში მუდმივი დაძაბულობის არსებობა
— თუკი აქ ქრისტესა და ისლამის მიმდევრები ერთმანეთს ომს გამოუცხადებენ, რუსეთის წინაშე მთელ რეგიონში მიმზიდველი პერსპექტივა იშლება. ექსპერტთა კლუბის წევრი ირაკლი ცქიტიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას ანალიზის მეორე ვერსიას ემხრობა და აცხადებს, რომ რელიგიური დაპირისპირების უკან რუსეთის კვალია.

— ზოგადად, რუსული კვალი ნებისმიერ ნეგატიურ პროცესში შეიძლება დაინახო, რომელიც დღეს მიმდინარეობს საქართველოში. მას შემდეგ, რაც ახალი მთავრობა მოვიდა და რუსეთთან მანამდე არსებული ხისტი პოლიტიკა შეარბილა, კრემლმა უფრო მეტი ძალა გადმოისროლა ჩვენს ქვეყანაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება შეტევაზე კულტურისა და ზოგადად, ჰუმანიტარული მიმართულებით. მოკლედ, რუსეთის სპეცსამსახურები მუშაობდნენ, მუშაობენ და იმუშავებენ საქართველოში, რამდენადაც ჩვენს ქვეყანას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ბანქო, რაც პანკისის ხეობაში, ჯავახეთში, თუნდაც სამეგრელოსა და აჭარაში გათამაშდა, ისევ გათამაშდეს.

— კონკრეტულად, რელიგიური დაპირისპირების „გათამაშება“ რას აძლევს რუსეთს?

— არის ასეთი ექსპერტი იანა ანელინა, რომელიც კრემლის პოლიტიკის ერთ-ერთი გამხმოვანებელია და მან ცოტა ხნის წინ ასეთი რამ დაწერა: უნდა გაგრძელდეს საქართველოს ტერიტორიების შემცირების პროცესი. ეს ნათქვამი დაემთხვა კოკოითის იგივე შინაარსის გამოსვლას — რამდენიმე დღე დამაკლდა, თორემ თრუსოს ხეობასაც დავიბრუნებდიო — აგვისტოს ომის დღეებს გულისხმობდა. მოკლედ, ასეთი მიზანი აქვს რუსეთში პოლიტიკოსთა ერთ ნაწილს, რაც საქართველოსთვის უფრო მეტი ტერიტორიის ჩამოჭრას ითვალისწინებს და ყველაფერი ამ გეგმის მიხედვით ხორციელდება.

— ეს ძალიან საშიშია ჩვენთვის, რადგან ბევრი პროგნოზის საწინააღმდეგოდ, რუსეთი ბოლო პერიოდში ძლიერდება და ამერიკა-ევროპას ხშირად ანგარიშსაც არ უწევს.

— გეთანხმებით, ძლიერდება... აფხაზეთსა და ცხინვალში რომ ჰყავთ 10 ათასი ჯარისკაცი, ეს თავისთავად, დიდი ზეწოლის ბერკეტია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ჩვენ როგორ მოვიქცევით. მესმის ახალი ხელისუფლების, რომელსაც სურვილი აქვს, რომ რუსეთთან დაალაგოს ურთიერთობა. ამის გაკეთება ვის არ უნდა, მაგრამ მეორე მხრივ, ვხედავთ მათ პასუხებსაც. ბოლო ასეთი პასუხი იყო პუტინის ვიზიტი ბიჭვინთაში, როცა კიდევ ერთხელ გვითხრა: როგორც უნდა მოიქცეთ, აფხაზეთი და ცხინვალი არ დაგიბრუნდებათო.

— ანუ რუსეთ-საქართველოს შორის გადატვირთვის პოლიტიკასაც არ აქვს აზრი, მაგრამ ხისტ პოლიტიკას ხომ მაინც სჯობს?

— როცა ხისტი პოლიტიკა გვქონდა, დასავლეთმა ზუსტად იცოდა, რა გვინდოდა ჩვენ. შესაბამისად, გამოხატავდა იგივე პოზიციას, რასაც ჩვენ გამოვხატავდით. მთლიანობაში, ეს იყო რუსეთზე ზეწოლის გარკვეული ბერკეტი. როცა ურთიერთობა შერბილდა, დასავლეთი ცაიტნოტში აღმოჩნდა. ბოლო რამდენიმე თვეა საერთოდ გაჩუმებულია იმიტომ, რომ არ იცის, რას ელოდოს და სადამდე მივა ჩვენი ურთიერთობები რუსეთთან.

— მარტო ჩვენი ბრალი ხომ არ არის ასეთი ვითარება რომ შეიქმნა. რუსეთთან ურთიერთობის შერბილების მცდელობაში დასავლეთის ბრალეულობაც კარგად ჩანს.

— გეთანხმებით, დასავლეთის ბრალიც არის. ეს გამოიხატება, პირველ რიგში, ისეთ გადაწყვეტილებებში, როგორიც მაგალითად, ბუქარესტის სამიტზე მიიღეს. მთლიანობაში, ასეთი გადაწყვეტილებების რიგი განაპირობებდა მათ შეცდომებს. ვფიქრობ, მოხდა ფასეულობათა გარკვეული აღრევა: მაგალითად, ჩვენ გვინდოდა, გამოგვეცხადებინა ბოიკოტი სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის. ამაში დასავლეთმა მხარი არ დაგვიჭირა. სამაგიეროდ, დაკარგული ტერიტორიებისა და დევნილების პრობლემებზე მაღლა საფეხურზე აწიეს გეების პრობლემა. რუსებმა რომ გეების საკითხი დახურეს, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ვაჟკაცური, თუ ქრისტიანული თვალსაზრისით მოხდა. პუტინმა გეზი აიღო რუსეთის ჩაკეტვისკენ და მისთვის მისაღებია ნებისმიერი სახის კონფრონტაცია დასავლეთთან. პუტინი საბჭოთა ეპოქისკენ მიდის, მაგრამ მთელი მსოფლიოსგან რუსეთის ბლოკირება, თვითონ რუსეთისთვის არის თვითგანადგურების ტოლფასი.

— ამის მიუხედავად, დღეს ბევრი შებრუნდა რუსეთისკენ. საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგებს გადავხედოთ. ბურჯანაძის რეიტინგის მატებას „ფქვილის პრინცესობა“ კი არ იწვევს, არამედ რუსეთთან ურთიერთობის მისეული ხედვა. ანუ თავად ხალხი ხომ არ იცვლის ფასეულობებს?

> **— მიკვირს იმ ადამიანების, ვინც რუსეთში ხედავს საქართველოს ხსნას. თუ პრაგმატულად მივუდგებით, დავინახავთ 250 ათას დევნილს. აი, ეს არის პრაგმატიზმი და ხელშესახები რეალობა. ამის მერე უნდა გავიხსენოთ ურთიერთობა რუსეთთან საუკუნეების განმავლობაში, რამდენი სისხლი და ცრემლი ახლავს მას... ჯერ ეს დავთვალოთ და მერე გავაკეთოთ ანალიზი. საბოლოოდ, დასკვნა ასეთია — სტრატეგიული შეცდომაა რუსეთის მიერ საქართველოს გადარჩენაზე საუბარი.**

— დასავლეთიც რომ იმ სახლს ჰგავს, რომლის კარსაც, არავინ გიღებს...

— დასავლეთის კურსით მსვლელობა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა. მეორე მხრივ, უნდა ველოდოთ, რომ რუსეთიც გააძლიერებს ზეწოლის ბერკეტებს. როგორი იქნება ზეწოლის ხარისხი, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული — გააჩნია,რის საშუალებას მივცემთ. რაც ადიგენში მოხდა მინარეთთან დაკავშირებით, უმსგავსობაა. ის ნაბიჯები, რასაც ვდგამთ, დესტრუქციული ძალებისათვის კარგად გამოსაყენებელია. ზოგიერთი აჟიტირებული მუსულმანი სასულიერო პირიც ატარებს რუსეთის ინტერესებს და ჩვენი სამღვდელოების ზოგი წარმომადგენელიც აფათურებს ასეთ საქმეებში ხელებს. თუ ამას, მთავრობის მხრიდან არასწორი ნაბიჯებიც დაემატება, მივიღებთ ვითარებას, რომელსაც რთული შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ კარგი იქნება, სწორ დასკვნებს თუ გამოვიტანთ და მსგავს შეცდომებს აღარ გავიმეორებთ.

„თამბაქოს პროდუქტის ფასი ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს — ეს უნივერსალური სტრატეგიაა“

რატომ აძვირებს ხელისუფლება სიგარეტს, მიაღწევს თუ არა ამ პროდუქტის მინიმალური ფასი სამ ლარს და რა რეკომენდაციების გათვალისწინება მოუწევს მთავრობას?

1 სექტემბრიდან სიგარეტი 15 თეთრით გაძვირდა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

1 სექტემბრიდან, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი გაიზარდა, რამაც სამომხმარებლო ბაზარზე თამბაქოს პროდუქციის გაძვირება უკვე გამოიწვია. მაგალითად, „ვინსტონი“ უკვე 2,20 ლარი, „მარლბორო“ — 3 ლარი, „პარლამენტი“ — 4 ლარი ღირს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორი, კახა ღვინიანიძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მინისტრთა კაბინეტს თამბაქოს პროდუქციის მკვეთრი ზრდა შესთავაზეს, მაგრამ ხელისუფლებამ სიფრთხილე გამოიჩინა და საწყის ეტაპზე, მხოლოდ 15 თეთრით გააძვირა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის ინფორმაციით, 1 სექტემბრიდან თამბაქოზე აქციზის გადასახადი გაიზარდა. კერძოდ, 15 თეთრით — ფილტრიან და 5 თეთრით — უფილტრო სიგარეტზე. დღევანდელი მდგომარეობით, აქციზის გადასახადი ერთ კოლოფ ფილტრიან თამბაქოზე (20 ღერი) — 60 თეთრი, ხოლო უფილტროზე — 15 თეთრია. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთის ზრდასთან დაკავშირებით, განცხადება გაავრცელა: **„მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის არსებული განაკვეთის ზრდა თანხვედრაშია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებულ კომპლექსურ მიდგომასთან, რაც მიმართულია ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის გაძლიერების გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნისკენ. ამ სტრატეგიის მიზანია, თამბაქოსგან გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური ზიანის შემცირება, ასევე ქვეყნის მიახლოება თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციით გათვალისწინებულ რეგულაციებთან.**

აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების სხვადასხვა მექანიზმებს შორის ერთ-ერთი, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის მატებაა. საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ ნაწილში შესული ცვლილების თანახმად, ფილტრიან სიგარეტზე (ადგილობრივი და იმპორტირებული) აქციზის არსებული განაკვეთი იზრდება მხოლოდ 0,60-დან 0,75 ლარამდე, ხოლო უფილტრო სიგარეტზე — 0,15-დან 0,20 ლარამდე. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციები ფისკალურ ეფექტზე გათვლილი არ არის“.

> **არ არის გამორიცხული, რომ აქციზის გაძვირების გამო, რაც თამბაქოს პროდუქციასაც ავტომატურად გააძვირებს, ბაზარზე კონტრაბანდული თამბაქოს ნაწარმი გამოჩნდეს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, თამბაქოს აქციზის განაკვეთის ზრდის შემდეგ, კონტრაბანდასთან დაკავშირებული რისკები გააანალიზა და ამ მიმართულებით, მუშაობას მომავალშიც გააგრძელებს. რაც შეეხება სიგარეტის ფასის მატებას, ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ, რომ თამბაქოს აქციზის განაკვეთის ზრდა, საცალო გაყიდვებზე ფასის მატებას უპირობოდ არ იწვევს და მისი მოცულობა, ბაზარზე არსებულ ვითარებაზეა დამოკიდებული.**

ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში, თამბაქო და ალკოჰოლური სასმელი საკმაოდ ძვირია. ევროპაში თამბაქოს ნაწარმის მინიმალური ფასი 5-8 ევროდან იწყება. ამის მიზეზია, ერთი მხრივ ის, რომ მოზარდებს არ ჰქონდეთ საშუალება, სიგარეტი თავისუფლად შეიძინონ. მეორე მხრივ — ზრდასრულმა მწეველებმა საკუთარი ბიუჯეტი დაზოგონ. ევროპის ცალკეულ ქვეყნებში, თამბაქოს ნაწარმის რეკლამირებაც მკაცრ რეგულაციებს ექვემდებარება, მაგალითად, ნორვეგიაში 1 000 ევროთი დააჯარიმებენ ცნობილ ადამიანს (მსახიობს, მომღერალს), რომელიც სატელევიზიო ინტერვიუს ან თუნდაც მცირე კომენტარის დროს, სიგარეტს მოწევს.

აქედან გამომდინარე, სრულიად გასაგებია საქართველოს ფინანსთა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივი პოზიცია, რათა საქართველოში თამბაქოს ნაწარმი გაძვირდეს. „ვერსიას“ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორი, კახა ღვინიანიძე ესაუბრება:

— თამბაქოს ნაწარმის 15-თეთრიანი ზრდა, ფისკალურ ეფექტზე გათვლილი არ არის. ეს თამბაქოს კონტროლის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანი თამბაქოს მოხმარების შემცირებაა. მართალია, 15-თეთრიანი გაძვირება სიგარეტის მოხმარების შემცირებაში თავის წვლილს შეიტანს, მაგრამ მაინც მინიმალური ზრდაა. ჩვენმა უწყებამ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მთავრობას გაცილებით მაღალმაჩვენებლიანი ზრდა შევთავაზეთ, მაგრამ პირველ ეტაპზე სიფრთხილე გამოიჩინეს და თამბაქოს პროდუქცია მხოლოდ 15 თეთრით გაძვირდება, რაც კარგი, მაგრამ მინიმალური მაჩვენებელია.

— ბატონო კახა, რამდენად შესაძლებელია, თამბაქოს პროდუქციას საქართველოშიც იგივე ფასი ჰქონდეს, როგორც ეს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებშია?

— ბუნებრივია, ასე იქნება. 15-თეთრიანი ზრდის მიუხედავად, რაც 1 სექტემბრიდან დაიწყო, ჩვენს რეგიონში მაინც ბოლო ადგილზე გვტოვებს იმ ქვეყნებს შორის, სადაც თამბაქოს ფასი დაბალია. დღეს სომხეთშიც კი უფრო ძვირია სიგარეტი, ვიდრე საქართველოში. აღარაფერს ვამბობ თურქეთზე, რუსეთსა და აზერბაიჯანზე. ევროპის ქვეყნებში, თამბაქოს პროდუქტის ფასი 5-8 ევროდან იწყება, რადგან ეს მთავარი დამცავი ფაქტორია, რათა ერთი მხრივ, ახალგაზრდებმა მოწევა არ დაიწყონ, მეორე მხრივ, მწეველებმა თამბაქოს მოხმარება შეამცირონ და საბოლოოდ, შეწყვიტონ. ეს არის უნივერსალური სტრატეგია, რომლის განხორციელება საქართველოში, ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო. 15 თეთრით გაძვირება — ამ მაჩვენებელზე არ გავჩერდებით. ვფიქრობთ, ხელისუფლებას ჩვენი შეთავაზების გათვალისწინება მოუწევს, რაც თამბაქოს ყოველწლიურ გაძვირებას გულისხმობს და რაშიც მსოფლიო ბანკი მხარს გვიჭერს. თამბაქოს პროდუქტის ფასი ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს იმ მაჩვენებლამდე, რომ მისი მინიმალური ფასი 3 ლარი იყოს.

— ბატონო კახა, მხოლოდ 15 თეთრით რატომ გაძვირდა, რისი შეეშინდა, ან რას გაუწია ანგარიში ხელისუფლებამ?

— ეს საკითხი შესწავლილი გვაქვს და რისკებიც სხვადასხვა მეთოდოლოგიით დამუშავებულია.

> **თამბაქოს საწინააღმდეგო პროგრამის განხორციელებას მსოფლიო ბანკი უკვე სთავაზობს ხელისუფლებას და გპირდებით, ეს პროცესი მალე დაიწყება. რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო მეტად გვინდოდა თამბაქოს პროდუქციის გაძვირება, მაგრამ მთავრობას ვერ გავამტყუნებთ, რადგან იმის გამო, რომ მინისტრთა კაბინეტი ჯერ მხოლოდ რვა თვეა მუშაობს, სიფრთხილე გამოიჩინა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ ერთი მხრივ, თამბაქოს საწინააღმდეგო სტრატეგიის მიმართულებით გადადგა ნაბიჯი, ხოლო მეორე მხრივ, ბაზარზე თამბაქოს არალეგალური ვაჭრობის შესაძლო დინამიკასაც დააკვირდება, რათა მკვეთრი ზრდის შედეგად, ბაზარზე კონტრაბანდული პროდუქცია არ გამოჩენილიყო.**

სოჭის ოლიმპიადის საპროტესტო აქცია-მანიფესტაციების საორგანიზაციო კომიტეტი შეიქმნა

პარტია „მემარცხენე ალიანსის“ ინიციატივით, სოჭის ოლიმპიადის საპროტესტო აქცია-მანიფესტაციების საორგანიზაციო კომიტეტი შეიქმნა. როგორც „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარემ კახა ძაგანიამ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აქცია-მანიფესტაციები სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ მიმართული არ იქნება და მისი მთავარი მიზანი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და რუსეთის ოკუპანტი ხელისუფლების ქმედებების გაპროტესტება იქნება.

მისივე თქმით, აქციის მონაწილეები მანიფესტაციებით მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენებენ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს ტერიტორიებია: **„რუსეთის ფედერაციის ოკუპანტი ხელისუფლება ძალას არ იშურებს, საქართველოს მოგლიჯოს ძირძველი ტერიტორიები, რომელიც ცივილიზებული მსოფლიოს მიერ უკვე საყოველთაოდ აღიარებულია. მათი ვიზიტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, შეხვედრები დეფაქტო პრეზიდენტებთან, მილიარდობით რუბლით მხარდაჭერა და სხვა პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო მოქმედებები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევისკენ მიმართული პროცესია, რაც მათი მთავარი მიზანია. მიუხედავად პუტინის მიერ სოჭის ოლიმპიადაზე აქცია-მანიფესტაციების აკრძალვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებისა, პოლიტიკური პარტიის „მემარცხენე ალიანსის“ წინადადებით იქმნება სოჭის ოლიმპიადის საპროტესტო აქცია-მანიფესტაციების საორგანიზაციო კომიტეტი“.**

ძაგანიასვე ინფორმაციით, საორგანიზაციო კომიტეტი პირველივე აქციას ოლიმპიადის გახსნის დღეს გამართავს. კახა ძაგანია საორგანიზაციო კომიტეტში მონაწილეობის მიღების მსურველებს „ფეისბუქზე“, ოლიმპიადის საპროტესტო აქციების საორგანიზაციო კომიტეტის გვერდზე რეგისტრირებას სთავაზობს.

„ინტერპრესნიუსი“

პრეზიდენტი 7 ქვეყანაში ელჩის დანიშვნას ხელს არ აწერს

საქართველოს ამ დროისთვის 7 ქვეყანაში არ ჰყავს წარმომადგენლობა, — ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ავრცელებს. მისი თქმით, ელჩების დანიშვნას პრეზიდენტი ხელს არ აწერს: **„ამ დროისთვის შვიდ ქვეყანაში არ გვყავს ელჩი. ეს პროცესი 9 თვეზე მეტია ჭიანურდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ჩინეთში, ბულგარეთში, ირანში, უზბეკეთში, ესტონეთში არ გვყავს ელჩები, რაც ხელს უშლის ჩვენი წარმომადგენლობების მუშაობას. პრეზიდენტი მათ დანიშვნას ხელს არ აწერს“.**

„ინტერპრესნიუსი“

შს სამინისტროს მაშველებმა 1974 წელს დაკარგული ხორვატი მთამსვლელის ნეშტს მიაკვლიეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამმართველოს მაშველებმა, მწვერვალ „უშბას“ მყინვარზე 1974 წელს დაკარგული ხორვატული სამთო ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის ნეშტს მიაკვლიეს.

დადგენილია, რომ 1974 წელს ხორვატი მთამსვლელების ჯგუფის ოთხი წევრი მწვერვალ „უშბაზე“, ზღვის დონიდან დაახლოებით 3000 მეტრის სიმაღლეზე, ზვავის ჩამოწოლის შედეგად დაიღუპა. ორი გარდაცვლილი მაშინვე იპოვეს. 2012 წელს კი ხორვატული ექსპედიციის წევრებმა მესამე გარდაცვლილის ნეშტს მიაკვლიეს.

მიმდინარე წლის აგვისტოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა, ხორვატული ექსპედიციის მეოთხე დაღუპული წევრის ნეშტის სავარაუდო ადგილმდებარეობის შესახებ შეტყობინება მიიღო. მაშველებმა საძიებო ღონისძიება შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყეს და რამდენიმე საათში ნეშტს მწვერვალ „უშბის“ ერთ-ერთ მყინვარზე მიაკვლიეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, გარდაცვლილის ვინაობის დადგენა შეძლეს. ის ცნობილი ხორვატი მთამსვლელი ნენად ჩულიჩია.

გარდაცვლილი მთამსვლელის ოჯახის წევრებს ნეშტის პოვნის შესახებ უკვე ეცნობა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო იარაღი ამოიღო. უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, წარსულში ნასამართლევი 1982 წელს დაბადებული ბესიკ მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბესიკ მ. თბილისში, ავტოსადგურ „ოკრიბას“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. საგამოძიებო მოქმედების დროს დაკავებულის კუთვნილი სამგზავრო ჩანთის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა „კალაშნიკოვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი და 23 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

„ვერსიანიუსი“

„მოვიდეს სააკაშვილი და ნახოს გლდანში, მისი ერთგული უგულავას მიერ მოწყობილი ბავშვების სასაკლაო!“

რა შესჩივლეს „ვერსიას“ თბილისის საკრებულოში თავმჯდომარის სანახავად მისულმა მოქალაქეებმა

რუსუდან შელია
557-100-768

29 აგვისტოს, საკრებულოში მოქალაქეების მორიგ ტრადიციულ მიღებაზე, თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილის ნაცვლად, თბილისელებს მისი მოადგილე ჯაბა სამუშია შეხვდა. საკრებულოს პრესსამსახურის განცხადებით, ირაკლი შიხიაშვილი ჩინეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება და საქართველოში 3 სექტემბერს ჩამოვა.

საკრებულოს ფოიეში თავმჯდომარესთან შესახვედრად სიაში წინასწარ ჩაწერილი ადამიანები დილიდან შეიკრიბნენ — ზოგი შემოსვლისთანავე დაცვის თანამშრომლებს ეჩხუბებოდა, თუ შიხიაშვილი აქ არ არის, სამუშიასთან შესახვედრად რას მეპატიჟებითო... ზოგიც სკამზე ჩუმად ჯდებოდა. ერთ-ერთი მათგანი ვიცანი, 3 წლის შვილთან ერთად, წინა ხუთშაბათის მიღებაზეც იყო, მაგრამ შიხიაშვილთან შეხვედრა ვერ მოახერხა, რადგან სიაში წინასწარ ჩაწერილი არ აღმოჩნდა.

— დღეს შეხვედრაზე მიგიღებენ? — ვეკითხები ქალბატონს, რომელმაც თავი ნატა მესხად გამაცნო.

— იმედი მაქვს, შევხვდები... გლდანში, უშიშროების აკადემიის ტერიტორიაზე, კანონიერად შეძენილ ფართში ვცხოვრობ. იქ, მიმდებარედ, ოთხი უზარმაზარი პროფილაქტიკაა უკანონოდ გახსნილი, რომელსაც გიგი უგულავას კლანი მართავს. საცხოვრებელ ფართსა და პროფილაქტიკას ერთი კედელი ყოფს, სადაც 24 საათის განმავლობაში, სხვადასხვა ქიმიური ხსნარებით მანქანებს ღებავენ, ნარჩენებს კი ჩვენი ფანჯრების წინ წვავენ... ჩემს სახლში პურსაც კი აცეტონის სუნი ასდის, ფანჯრებს საერთოდ ვერ ვაღებთ და ასეთ პირობებში შვილი დამიავადმყოფდა. საღებავის მძაფრ სუნზე ალერგია მისცა და კრუნჩხვებში ჩაგვივარდა, ძლივს გამოვტაცე სიკვდილს ხელიდან. ოქტომბრის არჩევნებამდე მოსახლეობასთან შეხვედრისას გიგი უგულავა დამემუქრა, ხმა არ ამოიღოო. როგორ გავჩუმდე, როცა საფრთხე ჩემი შვილის ჯანმრთელობას ეხება?

— დახმარება კიდევ ვის სთხოვეთ?

— ეკონომიკის სამინისტროში დავწერე განცხადება, გარემოს დაცვის სამინისტროსა და კანცელარიასაც ვთხოვე დახმარება, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. ტრაგედია ისაა, რომ მთავრობაში ცდილობენ, ერთმანეთის ბიზნესებს არ შეეხონ, ხალხის სიცოცხლე კი არავის ადარდებს. ბოლოს სოცსამსახურიდან ვიღაც ქალი მომიგზავნეს, დიაბეტიანი დედა მარტო დატოვე და თავშესაფარში წადიო... კანონიერად შეძენილი სახლიდან მაგდებენ იმის გამო, რომ უგულავას უკანონო ბიზნესი შეუნარჩუნონ. წარმოიდგინეთ, ამ პროფილაქტიკას ტუალეტიც კი არ აქვს და მუშები ჩემი ფანჯრის წინ ისაქმებენ. აქ მოვედი, რომ ვინმეს დაველაპარაკო და ისევ დახმარება ვითხოვო. ამდენი უსახლკარო რომ დადის თბილისში, ისინი შეიყვანონ ამ შენობაში, არ შეიძლება? მიხეილ სააკაშვილს მივმართავ, მოვიდეს და ნახოს გლდანში, მისი ერთგული უგულავას მიერ მოწყობილი ბავშვების სასაკლაო.

საუბარში ხნიერი, შავებში ჩაცმული ქალბატონი, მაყვალა ფოლადაური ჩაგვერთო: „მე ორ შვილიშვილთან ერთად, საგაზეთო ჯიხურში ვცხოვრობდი, შვილო... — თქვა და ცრემლი მოერია, — ავადმყოფი შვილის გადასარჩენად სახლი გავყიდე, სანაცვლოდ კი, ვაგონი შევიძინე. სადღაც ხომ უნდა გვეცხოვრა... შვილი მაინც ვერ შევინარჩუნე. სიძე მაშინ გარდამეცვალა, როცა შეიტყო, რომ ჩემს გოგოს კიბო ჰქონდა — ინსულტი დაემართა. ასე დავრჩი მარტო ორ ობოლ შვილიშვილთან ერთად. მერე ვაგონიც დამეწვა და საცხოვრებლად გაზეთების ჯიხურს შევეკედლე. ამის შემდეგ აფრიკის დასახლებაში, ავტოფარეხში შევიჭერით, რომელსაც არც კედელი ჰქონდა და არც ჭერი. სამი თვის პენსია წინასწარ გამოვიტანე და კედლები ისე ავაშენეთ, მაგრამ ამასობაში, სოციალური დახმარება მომიხსნეს, აქ უკანონოდ ცხოვრობთ და დახმარებას ვერ მიიღებთო. ახლა ვითხოვ, მინები მაინც ჩამისვან, რადგან ქარი სანთელს მიქრობს... არც შუქი გვაქვს, არც გაზი...“

„მე უკანონოდ, კანონში არარსებული მუხლით პენსია მომიხსნეს და ინვალიდი ქალი ლუკმა-პურის გარეშე დამტოვეს, — მიამბობს ლეილა ფანცულაია, რომელსაც ხელში დოკუმენტების უზარმაზარი დასტა უჭირავს, — ორივე მენჯ-ბარძაყის კოქსართროზი მაქვს, ხუთწლიანი დაკვირვების შემდეგ მუდმივი პენსიონერის სტატუსი მომანიჭეს, მაგრამ იმის გამო, რომ ერთ ფეხზე ოპერაცია გავიკეთე, დახმარება მომიხსნეს. ხელახალ ექსპერტიზას ვითხოვ. ექსპერტი ტირილით მეუბნება, ექსპერტიზაზე რომ დაგთანხმდეთ, რეგულირების სამმართველო სამსახურიდან გამათავისუფლებსო. ჩემ მდგომარეობაში ათასობით ადამიანია — თუ ვინმემ ერთ ფეხზე ოპერაცია გაიკეთა, პენსიას უხსნიან, რათა მეორე ოპერაცია თავად გაიკეთოს. ჯანდაცვის სამინისტრო ამით ფულს აკეთებს. სამი წელია სიმართლისთვის ვიბრძვი, მაგრამ დღემდე ვერაფერს გავხდი. იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებმაც პენსია მომიხსნეს, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მაგრამ რა? ინვალიდების დისკრედიტაციისთვის არავინ ისჯება. ჯანდაცვის სამინისტროდან ვინმე კაკაჩია, რომელიც შევარდნაძის დროს ასაკობრივი პენსიების მისაღებად დოკუმენტებს აყალბებდა, დღეს სასაცილო წერილებს მიგზავნის.

— მე ირაკლი შიხიაშვილთან შესახვედრად მოვედი, ჯაბა სამუშიას რა ვუთხრა? — მომესმა ქალბატონის ყვირილი, რომელიც რამდენიმე გულშემატკივართან ერთად, საკრებულოს კიბეზე სწრაფად დაეშვა.

— ჯაბა სამუშიასთან შეხვედრაზე რატომ ამბობთ უარს? — დავედევნე გაბრაზებულ ქალბატონს. ის თამარ მატიაშვილი აღმოჩნდა.

— კონკრეტულად, შიხიაშვილთან მაქვს საქმე. დონორი ორგანიზაციების საშუალებით მერიამ დიდ დიღომში ბინები ააშენა, სადაც კომისიების მიერ შერჩეული 24 ოჯახი უნდა შესახლებულიყო. მათ შორის მეც მოვხვდი. რატომღაც შენობაში შესვლის პროცესი დაგვიანდა. გვეუბნებოდნენ, ორ კვირაში შეხვალთ, ოღონდ ნუ იყვირებთ და ნურავის გააგებინებთო. — ამას ვინ გეუბნებოდათ?

— თბილისის მერიის წარმომადგენელი გია მამრიკიშვილი. ახლა ვიგებთ, რომ სწორედ შიხიაშვილმა და მამრიკიშვილმა კომისიის მიერ შერჩეული 24 ოჯახიდან შენობაში პირადი შეხედულებით არჩეული 12 ოჯახი შეიყვანეს. არ ვიცი, რა მოხდა და რატომ დაგვტოვეს გარეთ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ადამიანები. მამრიკიშვილმა გვითხრა, პროგრამიდან იმიტომ ამოვარდით, რომ არ აქტიურობდითო. ადამიანები იმ დონეზე დააპირისპირეს ერთმანეთს, შეიძლება სისხლიც კი დაიღვაროს.

ფოიეში საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე გამოჩნდა, რომელსაც შეხვედრის რიგში მდგომი ქალბატონები შემოეხვივნენ და პრობლემის გადასაჭრელად დახმარება სთხოვეს. **„კი, ბატონო, თქვენი პრობლემების შესახებ კახა კუკავასთან ერთად დავილაპარაკებთ და შევეცდებით, დაგეხმაროთ“,** — უმეორებდა ფოფხაძე ქალბატონებს. დავინტერესდი, რა უნდოდა პარლამენტარს აქ და როგორ უნდა გადაეწყვიტა მოქალაქეების პრობლემები პოლიტიკურ ოპონენტ კახა კუკავასთან ერთად. ფოფხაძის პასუხი ასეთია: **„მე და კახა სტუდენტობის პერიოდიდან ვმეგობრობთ, რაშიც პოლიტიკური შეხედულებები ხელს არ გვიშლის. საკრებულოში ახალი უმრავლესობის ჩამოყალიბების შემდეგ, ადამიანის უფლებების დაცვის კომისიას კახა ხელმძღვანელობს, ამიტომ მასთან საქმიანი თანამშრომლობაც მიწევს. სწორედ მისი სურვილი იყო, პარლამენტში შესაბამის კომიტეტთან ეთანამშრომლა, რაზეც ბუნებრივია, დავთანხმდი“.**

ჯაბა სამუშიამ მოქალაქეების მიღება, საკრებულოს თავმჯდომარისგან განსხვავებით, საკმაოდ ადრე, საღამოს 6 საათისთვის დაასრულა. სიაში 65 ადამიანი კი იყო ჩაწერილი, მაგრამ ნაწილმა იქაურობა იმ იმედით დატოვა, რომ მომავალში მიეცემა შიხიაშვილთან შეხვედრის საშუალება. მოქალაქეების მიღების შემდეგ, ჯაბა სამუშიამ „ვერსიასთან“ ჩავლილი დღე შეაჯამა:

— საკრებულოში მოქალაქეებს, პარასკევის გარდა, ყველა სამუშაო დღეს ვიღებთ. პარასკევს მათი პრობლემების შესახებ ვმსჯელობთ. თბილისელებს, ძირითადად, სოციალური პრობლემები აწუხებთ — საცხოვრებელი არ აქვთ. საკრებულო ამ მიმართულებით სერიოზულ მუშაობას იწყებს. ის ფაქტი, რომ საკრებულოს კარი მოქალაქეებისთვის ღიაა, მერწმუნეთ, უკვე დიდი წარმატებაა.

— დღევანდელ შეხვედრაზე მოქალაქეები მეორედ მოვიდნენ, რადგან მათ განცხადებებზე რეაგირება არავის მოუხდენია. მხოლოდ კარის გაღება კმარა?

— საკრებულოში შემოსული განცხადებები გამგეობებს ეგზავნება, მათ კი კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად ერთი თვის ვადა აქვთ. თუ ამ დროში გამგეობამ განცხადება ვერ დააკმაყოფილა, საკრებულოს ამის მიზეზი უნდა აუწყოს. თუ ვნახეთ, რომ რომელიმე გამგებელი დაკისრებულ მოვალეობას სრულყოფილად ვერ ასრულებს, მისი შეცვლის საკითხი დადგება.

— გასაგებია — მოქალაქეების პრობლემების გადაჭრას გამგეობას ავალებთ, საკრებულოსთვის პრიორიტეტი კი, ახალი მანქანების შეძენაა, არა?

— მოწოდებულები ვართ, საკრებულოში უმიზნოდ არც ერთი თეთრი არ დაიხარჯოს. პირველი შემთხვევაა, როცა თავმჯდომარის სამივლინებო ხარჯი საჯაროდ განიხილება. რაც შეეხება ახალი ავტომობილების შეძენას, კანონმდებლობითაა განსაზღვრული, რომ სახელმწიფო სტრუქტურას ძველი ავტომობილის შეძენის უფლება არ აქვს. იძულებულები ვართ, ტენდერი სწორედ ახალი ავტომობილების შეძენაზე გამოვაცხადოთ.

სააკაშვილის ბებიის სახლი მიწასთან გაასწორეს

თამარ ლეფსვერიძე, ირმა მესხია
„გურიანიუსი“

„მე გადასარევი ბებია მყავს“, „ეს ამნისტია ბებიაჩემი მზია წერეთლის მიღებული არ არის“, — მზია ბებიას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის გამოსვლებში ხშირად ახსენებს ხან ამნისტიასთან, ხანაც დემოკრატიულ სამყაროსთან კონტექსტში... მეტიც, სააკაშვილი, მზია ბებიასთან ერთად, ოფიციალურ მივლინებებშიც დადის;

ბებია მას „უბრალოდ მიშას“ ეძახის. ჟურნალისტის კითხვაზე, რა კერძი უყვარს შვილიშვილს ყველაზე მეტად და რას უმზადებს ბებია სტუმრად მისულ პრეზიდენტს, მზია წერეთლის პასუხი მრავალმნიშვნელოვანია: „ეს ძალიან რთული სათქმელია...“

თუმცა, ბებიას სახლში პრეზიდენტი ვეღარ მივა, ჯერჯერობით...

ვაზისუბნის ქ №18-დან, სადაც პრეზიდენტის ბებია ცხოვრობს, დაცვა მოხსნილია, სახლი კი — მთლიანად დანგრეული; ჭიშკარზე გაკრულ აბრაზე მითითებულია, რომ მიმდინარეობს სახლის დემონტაჟი. დამკვეთი თავად მზია წერეთელია.

მუშები ადასტურებენ, რომ სააკაშვილის ბებიის სახლის დემონტაჟი მოახდინეს, მაგრამ რა უნდა აშენდეს მის ნაცვლად, ჯერჯერობით, არ იციან.

მეზობლების განცხადებით, სახლის სრული დემონტაჟი ერთი კვირის წინ მოხდა.

აბრაზე მითითებულ საკონტაქტო პირს, ვლადიმერ აბრამიშვილს დავუკავშირდით.

— ბატონო ვლადიმერ, თქვენ, ინდივიდუალური სახლის დემონტაჟისთვის ვაზისუბნის №18-ში მოგმართათ საქართველოს პრეზიდენტის ბებიამ, მზია წერეთელმა. ბანერზე, რომელიც კართანაა გაკრული, არ არის მითითებული, რამდენსართულიან სახლს აშენებს ქალბატონი მზია.

— არ სჭირდება ჯერ არაფერი, სანამ არ დამტკიცდება... ვამტკიცებთ... ალბათ, ორშაბათს ან სამშაბათს დამტკიცებაზე შევიტანთ. ჯერ არ კეთდება პროექტი. სანამ პროექტი დაიწყება, გაკეთდება ბანერი. იქ იქნება ბანერიც და ყველაფერიც... ყველაფერს ვაკეთებთ კანონის ფარგლებში.

— რა ჯდება სახლის დემონტაჟი?

— ამ საკითხებზე მე ვერ გიპასუხებთ, მიმართეთ ქალბატონ მზიას...

ჭიათურელებს აქვთ უფლება, უსაფრთხო გარემოში იცხოვრონ

ნატო გოგელია
„გურიანიუსი“

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მანგანუმისა და სხვა წიაღისეულის გადამზიდავი მძიმეწონიანი სატვირთო მანქანების მოძრაობის წესი დაამტკიცა.

პროექტის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ჭიათურელთა კავშირია“ და მის მისაღებად საკრებულოს თვენახევრიანი დებატები დასჭირდა.

როგორც დადგენილების თანდართულ განმარტებით ბარათშია აღნიშნული, დადგენილების მიღების მიზეზი მანგანუმის მადნის მოპოვების შედეგად ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის უკიდურესი დაბინძურება, შესაბამისად, ონკოლოგიური დაავადებების მკვეთრი ზრდა გახდა; დადგენილების მიზანი კი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და ტერიტორიის მანგანუმისა და სხვა წიაღისეულის მოპოვების პროცესის მავნე ზეგავლენისგან დაცვაა.

— ჭიათურაში მანგანუმისა და სხვა წიაღისეულის გადაზიდვას ახლავს გარკვეული რისკფაქტორები, რომლებიც

უარყოფითად მოქმედებს მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ თითოეულ მოქალაქეზე. წიაღისეულის ტრანსპორტირებისას მისი მტვერი დიდ საფრთხეს წარმოადგენს, იგი შეიცავს სხვადასხვა ტოქსინებს... მოპოვებული მადანი ხშირად მიდის დასახლებული პუნქტების გავლით და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, იგი ილექება ფილტვებში, ძვლებში, ტვინში. ჭიათურაში აიღეს ჰაერის 4 ნიმუში: ცდფ-ის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე; ჭიათურის პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე; საჩხერის გზატკეცილის პირველ კილომეტრზე; წერეთლის საბადოზე. განისაზღვრა მანგანუმის ორჟანგის შემცველობა. თითოეულ წერტილში ნიმუშების აღება წარმოებდა, საშუალოდ, 7-8 საათის განმავლობაში. ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ჰაერის ნიმუშებში მანგანუმის ორჟანგის შემცველობა, შესაბამისად, შეადგენდა 193,1მკგ/მ3; 4.4მკგ/მ3; 237,7მკგ/მ3; 13,6 მკგ/მ3, რაც საშუალო დღეღამურ კონცენტრაციას (1.0 მკგ/მ3) აღემატება 193,1-ჯერ 4.4-ჯერ 237-ჯერ 13,6-ჯერ. ადვილად წარმოსადგენია, რა კატასტროფულ პირობებში უწევთ არსებობა მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს, განსაკუთრებით ქარის დროს, როცა ქალაქი მთლიანად ეხვევა მანგანუმის მტვერში.

კვლევის შედეგები დამუშავდა აშშ-ს ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტოს სამეცნიერო ლაბორატორიაში (დენვერი, კოლორადო) და შეფასდა საქართველოსა და აშშ-ს ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით.

ინიციატივის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მანგანუმისა და სხვა წიაღისეულის გადამზიდავი მძიმეწონიანი სატვირთო მანქანების მოძრაობის წესის დამტკიცება, გარკვეულწილად, დაიცავს ადამიანების ჯანმრთელობას და კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები — ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი (საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი; ორჰუსის კონვენცია) ჭიათურელებზეც გავრცელდება.

სტიქიამ გურია ისევ დააზარალა

ძლიერმა ქარმა და წვიმამ გურიას ისევ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. გურიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის შალვა ბოლქვაძის თქმით, ქარმა სოფელ შეკვეთილში ხეები მოგლიჯა, ათეულობით ავტომობილი დალეწა, ჩაიკეტა ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი.

— ამ დროისთვის მოძრაობა აღდგენილია. რაც შეეხება ზიანს, იგი, ძირითადად, ზღვისპირეთს მიადგა.

სტიქიამ ზიანი ლანჩხუთსაც მიაყენა — რამდენიმე სახლი დაიტბორა, რამდენიმეს კი ქარმა სახურავი გადახადა. დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები.

ოზურგეთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის კოტე შარაშენიძის ინფორმაციით, სტიქიამ სერიოზული ზიანი სოფელ ნატანებს მიაყენა — ერთ-ერთ სახლს საძირკველი მთლიანად გამოაცალა.

სოფელ შრომაში ქარიშხალმა სახლებს სახურავი ახადა. ელექტროენერგიის გათიშვის გამო, სოფელ ნიგოეთში თბილისი-ოზურგეთის მატარებელი ხუთი საათის განმავლობაში იყო გაჩერებული. უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი, კონკრეტულად, რა რაოდენობის ზარალი მიაყენა რეგიონს სტიქიამ.

„გურიანიუსი“

სენაკის რაიონში 25-მდე სახლი დაიტბორა

ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარე ფაწამ სენაკის რაიონში 25-მდე სახლი დატბორა. დატბორილია საცხოვრებელი სახლების ეზოები და პირველი სართულები. ადგილობრივების განცხადებით, აუცილებლად ასაშენებელია მდინარესთან ჯებირები, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ, წყალდიდობის დროს დაზიანდა და მას შემდეგ შეკეთება ვერ მოხერხდა. მოსახლეობა აღდგენითი სამუშაოების დროულად დაწყებას ითხოვს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ცენტრალურმა მთავრობამ ფონდში თანხა უკვე ჩარიცხა. უახლოეს დღეებში პროექტზე მუშაობა დასრულდება და აღდგენითი სამუშაოები დაიწყება.

„ინტერპრესნიუსი“

ტუტანჰამონი ქართველი ყოფილა!

ავადმყოფი და არც ისე ლამაზი ყმაწვილი-ფარაონი

გენეტიკურმა ანალიზმა, რომელიც უკვე ეგვიპტელმა ბიოლოგებმა ჩაატარეს, აჩვენა: ტუტანჰამონი სულაც არ იყო ისეთი, როგორადაც იგი აქამდე წარმოედგინათ. მას ჰქონდა რიგი სერიოზული დაავადებები: იტანჯებოდა ძვლების სისუსტით, ჰქონდა მგლის ხახა, კოჭლობდა — მარცხენა ფეხს მიათრევდა და ამიტომ ყოველთვის ხელჯოხით დადიოდა... სხვათა შორის, თავის დროზე, მის სამარხში დაახლოებით, 300 ცალი ჯოხი აღმოაჩინეს, რაც მეცნიერების თავსატეხი გახდა — მათ ვერაფრით დაადგინეს, ამ ჯოხებს ფარაონი რაში იყენებდა. ეგვიპტელების მიერ ჩატარებულმა ბოლო კვლევებმა კი ამ კითხვასაც უპასუხა — ეს ტუტანჰამონის ხელჯოხებია, რომლებიც მას ეხმარებოდა მაქსიმალურად სწორად გაევლო და ხალხის დასაცინი არ გამხდარიყო.

წლების განმავლობაში ტუტანჰამონი ულამაზეს ყმაწვილად მოიაზრებოდა, მაგრამ იყო განსხვავებული ვერსიებიც... მაგალითად, ექიმების ერთი ჯგუფი ტუტანჰამონს უშნო, შეუხედავ ადამიანად ხატავდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ უცნაურმა გენეტიკურმა დაავადებებმა ტუტანჰამონის ორგანიზმში საოცარი ცვლილებები მოახდინა, მან ქალური ფორმები შეიძინა, მკერდი გაეზარდა, თეძოები გამოეკვეთა... მეცნიერების ნაწილი კიდევ უფრო შორს წავიდა: ტუტანჰამონის გამოსახულებას ხელები დაუგრძელეს, თავის ქალაც დაამახინჯეს და იმის მტკიცება დაიწყეს, თითქოს ფარაონი უცხოპლანეტელების გენეტიკური ექსპერიმენტის მსხვერპლი გახდა.

უახლესმა სკანირებამ კი თითქმის ყველა მითი დაამსხვრია: აღმოჩნდა, რომ ბიჭი მართლაც არ იყო ლამაზი, მაგრამ ვერც იმას იტყოდით, უშნოაო. **„ტუტანჰამონის გარეგნობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება და სკანდალური ჰიპოთეზები არსებობდა, მაგრამ, ძირითადად, ეფუძნებოდა ფარაონის გამოსახულების ანალიზსა და არა ფაქტობრივ მონაცემებს, რომელიც შემდეგს მოწმობს: ტუტანჰამონს საერთო არაფერი აქვს უცხოპლანეტელებთან და არც ურჩხული ყოფილა — მას ჩვეულებრივი, კავკასიელისთვის დამახასიათებელი ნაკვთები და გარეგნობა ჰქონდა“,** — აცხადებს ზაჰი ჰავასი.

მამის ვინაობა დადგენილია, დედა — ამოსაცნობი

ეგვიპტელმა სწავლულებმა ტუტანჰამონის დნმ-ს 16 მუმიის დნმ შეადარეს და მათ შორის ბიჭის უახლოესი ნათესავები გამოვლინდა. უკვე ცნობილია, რომ ტუტანჰამონის ბებია ტიიაა, ფარაონ ექნატონის დედა, თავად ექნატონი — მუმია კოდური სახელწოდებით KV55 კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ტუტანჰამონის მამაა. რაც შეეხება ფარაონის დედას, ტუტანჰამონის მშობელი გახლავთ მუმია კოდური სახელწოდებით KV35YL. ვინ არის იგი, ჯერ უცნობია. ვარაუდობენ, რომ ის ან ექნატონის დაა, ან თავად ნეფერტიტი, ექნატონის პირველი ცოლი.

ორი პატარა მუმიის საიდუმლო

კვლევების პროცესში, ეგვიპტელებმა, მსოფლიოს ორი ახალშობილი მუმია აჩვენეს. ისინი ჯერ კიდევ 1922 წელს იპოვეს ტუტანჰამონის აკლდამაში, მაგრამ ამ სენსაციური აღმოჩენის შესახებ თითქმის არავინ იცოდა. ამოუცნობი მიზეზის გამო, პატარა მუმიების საიდუმლო არ გამჟღავნდა, ისინი კი აქამდე კაიროს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე იყო დაცული. დაახლოებით 30 წლის წინ, მათთან მიახლოების ნებართვა მხოლოდ ერთხელ მიიღეს დასავლელმა მეცნიერებმა.

ორივე მუმია ემბრიონია — ისინი დღენაკლული გოგონები არიან. ერთის სიგრძე 30 სანტიმეტრი გახლავთ, მეორისა — 38,5 სმ. მათი ზომით თუ ვიმსჯელებთ, პირველი, სავარაუდოდ, 5 თვისაა, მეორე კი — დაახლოებით 7-ის.

ლივერპულის უნივერსიტეტის ანთროპოლოგი რობერტ კონოლი გვიამბობს: **„ჯერ კიდევ 70-იან წლებში გავარკვიეთ ფარაონის სისხლის ჯგუფი. 1979 წელს, მე და ჩემს კოლეგას ნორვეგიიდან, კატერინა ხელიერს მოგვცეს საშუალება,**



გამოგვეკვლია ერთ-ერთი პატარა — ის, რომელიც წონით უფრო დიდია. სისხლის ჯგუფის გამოკვლევის შემდეგ, მივედით დასკვნამდე, რომ ის ტუტანჰამონის შვილია“.

მეცნიერები თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ ტუტანჰამონი ორივე გოგონას მამა იყო, თავად გოგონები კი, ზომაში სხვაობის მიუხედავად, შეიძლება, ტყუპები ყოფილიყვნენ: **„ასეთი რამ ხდება — აცხადებს კონოლი, — ერთი ემბრიონი სწრაფად იზრდება მეორე ემბრიონის ხარჯზე“.**

ზაჰი ჰავასი კი მიიჩნევს, რომ ტუტანჰამონი ნამდვილად იყო შედარებით დიდი გოგონას მამა. პატარას ასაკი კი, 9 თვით უნდა განისაზღვროს და უნდა ვივარაუდოთ, რომ გოგონა დაბადებისთანავე გარდაიცვალა. უფრო პატარა მუმიის გამოკვლევები ჯერ არ დასრულებულა.

რაც შეეხება გოგონების დედას, ის ალბათ, ფარაონის ცოლი იყო — 12 წლის ასაკში ტუტანჰამონი დაქორწინდა 13 წლის ანხესენამუნზე — ნეფერტიტისა და ექნატონის ქალიშვილზე. გამოდის, ტუტანჰამონმა ცოლად ან ღვიძლი და შეირთო, ან ნახევარდა — ეს მას შემდეგ დაზუსტდება, რაც ფარაონის დედას ოფიციალურად ამოიცნობენ.

აღამიანები ქართველებისგან წარმოიშვნენ?

მსოფლიოს ბევრ მეცნიერს არც გაკვირვებია შვეიცარელი სწავლულების დასკვნა, რომლის თანახმად, ევროპელების წინაპრები კავკასიელები იყვნენ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ კავკასიას და, კონკრეტულად, საქართველოს, დიდი ხანია აქვს პრეტენზია, თითქოს სწორედ იქ დააბიჯებდა პირველი ევროპელი და ევროპული ცივილიზაციის აკვანიც პირველად სწორედ საქართველოში დაირწა.

ერთი ვერსიით, სწორედ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე დასახლდნენ აფრიკიდან გადასული ნახევარადამიანები და ადამიანებადაც საბოლოოდ აქ ჩამოყალიბდნენ.

ამის დასადასტურებლად, ხშირად მოჰყავთ საქართველოში, დმანისში ჩატარებული აღმოჩენა — 1999-2001 წელს აქ იპოვეს ძვლები. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ისინი 1,8 მილიონი წლისაა. კონკრეტულად, გათხრებისას იპოვეს 6 თავის ქალა და ჩონჩხის ნაწილები. გაირკვა, რომ ეს, აფრიკის საზღვრებსმიღმა აღმოჩენილი ყველაზე ძველი ძვლებია.

ადამიანად ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ქართველები სიმაღლით 1,5 მეტრი იყვნენ და 59 კგ-ს იწონიდნენ. მათი ტვინი 2-ჯერ პატარა იყო, ვიდრე თანამედროვე ადამიანისა — დაახლოებით 600 კუბ/სანტიმეტრი. მიუხედავად ამისა, მათ იცოდნენ შრომის იარაღის კეთება, ნადირობდნენ და ხორცსაც ამზადებდნენ.

გამოდის, აფრიკიდან გადასახლებული „მაიმუნის“ ევოლუცია, საბოლოოდ საქართველოში დასრულდა? — ამ კითხვაზე პასუხს პროფესორი **დავით ლორთქიფანიძე** გასცემს, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორია: **„დმანისის აღმოჩენა შექმნილ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. აქამდე მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის წინაპრები ევროპაში გაჩნდნენ, სადაც აფრიკიდან გადავიდნენ დაახლოებით მილიონი წლის წინ. სინამდვილეში, მანამდე, 800 ათასი წლით ადრე, მაშინ, როცა ისინი ჯერ კიდევ მაიმუნებს ჰგავდნენ, საქართველოში გადმოვიდნენ და სწორედ აქ ისწავლეს ხელსაქმე, სხვადასხვა უნარებიც აქ შეიძინეს“.**

მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ მთელი ევროპული ცივილიზაცია სათავეს იღებს ადამიანის მსგავსი ქართველებისგან, რომლებიც დროთა განმავლობაში ჩამოვიდნენ მთიდან. მათი ნაწილი დაბრუნდა აფრიკაში და იქ ავიდნენ ევოლუციის მაღალ საფეხურებზე. შემდეგ კი, კვლავ ევროპაში გადავიდნენ. ნაწილი კი დმანისში დარჩა და აღარსად წასულა. ასე რომ, ნამდვილი ქართველები ისინი არიან, ვისი წინაპრების ძვლებიც დმანისში აღმოაჩინეს.

სააგენტო „როიტერის“ მასალებზე დაყრდნობით

თანამედროვე ეგვიპტელები, ფარაონების დეგრადირებული შთამომავლები კი არ არიან, მათ არაფერი აქვთ საერთო თავის უძველეს მმართველებთან!
„ვფიქრობ, ეგვიპტის მეფეებისა და ევროპელების საერთო წინაპრები კავკასიაში ცხოვრობდნენ დაახლოებით 9 500 წლის წინ, — აცხადებს შოლცი და მოვლენების განვითარების სავარაუდო სცენარზეც საუბრობს, — დაახლოებით 7 ათასი წლის წინ, ისინი დასახლდნენ ევროპაში, ვიღაც ეგვიპტემდეც ჩავიდა და გახდა ფარაონი. გამოდის, ტუტანჰამონის შორეულ წინაპრებსა და თავად ტუტანჰამონს კავკასიური წარმომავლობა ჰქონდათ. ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ ქართველები, ოსები, დაღესტნელები ან ჩეჩნები...

არც თანამედროვე ევროპელები წასულან ძალიან შორს კავკასიიდან, მაგრამ... რატომ არიან ისინი ასეთი განსხვავებულები შინაგანად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მეცნიერები ალბათ, მომავალი კვლევების დასრულების შემდეგ შეძლებენ, მანამდე კი, შვეიცარიელებს სხვა საფიქრალი აქვთ — ევროპელებს შორის ტუტანჰამონის უახლოესი ნათესავები უნდა იპოვონ.

„პუტინის დიპლომატია“ ანუ უარესი პოლიტიკა

სარედაქციო წერილი

Le Monde

ერთ დიდ სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა დიდი გავლენა სირიაში. ორი წლის წინ მას შეეძლო, ბაშარ ასადისთვის ზომიერებისკენ მოეწოდებინა, ბიძგი მიეცა ხელისუფლებისა და ოპოზიციის დიალოგისათვის, ოპოზიციისთვის, რომელიც იმ მომენტისთვის თავისუფალი იყო რადიკალური ისლამიზმისგან და, რაც ჩვენთან ხშირად ავიწყდებათ, მშვიდობიან საპროტესტო გამოსვლებს მართავდა რეჟიმის წინააღმდეგ.

სწორედ ამ სახელმწიფოს, რომელიც ხარბად ცდილობს საერთაშორისო არენაზე აღიარების მოპოვებას, შეეძლო, სრულიად უნიკალური როლი შეესრულებინა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა და სხვა რამ არჩია: უარესი პოლიტიკა. ამიტომ მას უზარმაზარი პასუხისმგებლობა ეკისრება იმისთვის, რომ სირიული რეჟიმი დაარღვევს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებაზე აკრძალვას.

რთული არ არის ამოცნობა, რომ ეს სახელმწიფო რუსეთია. ის აიარაღებს და წვრთნის სირიის არმიას. კონფლიქტის დასაწყისშივე მოსკოვმა არა მხოლოდ განაგრძო, არამედ გააფართოვა კიდეც დამასკოს იარაღით მომარაგება. რამდენიმე დღის წინ ეს ბაშარ ასადმა მოსკოვურ პრესას უთხრა: რუსეთის დამსახურებით, მის არმიას არაფრის დეფიციტი აქვს. საუბარია სამხედრო თვითმფრინავების ნაწილებზე, სარაკეტო კომპლექსებზე, ჯავშანტექნიკაზე...

ამ ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობა სათავეს იღებს ჯერ კიდევ 1970-იანი წლების დასაწყისში, რის გამოც რუსეთი ყველაზე კარგად იცნობს სირიის გენშტაბს და რეჟიმის სპეცსამსახურებს. სწორედ მოსკოვმა მისცა დამასკოს ქიმიური არსენალის შექმნის შესაძლებლობა და ალბათ, საკმაოდ მკაფიო წარმოდგენაც აქვს იმაზე, სად ინახება ის.

რუსეთი სირიაში აბსოლუტურად კანონიერ ინტერესებს იცავს. მისი სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა დამასკოსთან აშშ-ს რეგიონის ბევრ ქვეყანასთან კავშირს მოგვაგონებს. კერძოდ, სირიულ ტარტუსში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზაა, რომელიც რუსეთისთვის საკვანძო როლს ასრულებს ხმელთაშუა ზღვაში. მნიშვნელოვანია ასევე, სავაჭრო კავშირები ამ ორ ქვეყანას შორის.

ამერიკელები და ევროპელები შეეცადნენ რუსების დარწმუნებას, რომ კონფლიქტის ერთობლივი მშვიდობიანი გადაწყვეტა შესაძლებელს გახდიდა მათი ინტერესების დაცვას ამ ქვეყანაში. ასეა თუ ისე, კრემლმა ამ მიმართულებით არაფერი გააკეთა. მეტიც, მან რეჟიმზე მცირეოდენ ზეწოლაზეც კი უარი თქვა. სირიაში სამოქალაქო ომის განვითარების ფეხდაფეხ, მოსკოვი მუდმივად ამტკიცებდა, რომ აკავებდა სუნიტური ექსტრემიზმის განვითარებას, რომელიც მის კავკასიურ რესპუბლიკებს ემუქრება, მაგრამ ეს ამ ისტორიის დასასრული არ არის. რუსეთის უპასუხისმგებლო ქცევას სირიაში სხვა მიზეზებიც აქვს. ის რუსული დიპლომატიის „საბჭოეთიზაციის“ შედეგია, რომელსაც პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აწარმოებს. ულტრანაციონალიზმისა და პარანოიის ეს ერთობლიობა საკუთარი თავის დასავლეთთან მუდმივ დაპირისპირებას გულისხმობს: დასავლეთი სტრატეგიული და კულტურული მტერია, რომლის ერთადერთი მიზანია, როგორმე ხელი შეუშალოს რუსეთს, კვლავ მძლავრი ზესახელმწიფო გახდეს. ასე იქცევა პუტინი სირიაშიც და ამ ფონზე, თუ საქმეს დასჭირდა, ქიმიური იარაღის გამოყენებასაც შეეგუება.

კრემლს მხოლოდ ერთი გამართლება აქვს: დასავლეთს არასოდეს უცდია მასზე სერიოზული ზეწოლა, რათა იძულებული გაეხადა, შეეცვალა პოლიტიკა სირიაში.

ყოველ წელს ომში

ფილიპ ლეიმარი

Monde diplomatique

ბარაკ ობამას, დევიდ კემერონსა და ფრანსუა ოლანდს არაერთხელ უთქვამთ, რომ ომის მიზანი სირიაში იმ ადამიანების „დასჯაა“, ვინც მშვიდობიანი მოსახლეობა გაზით მოწამლა. სამხედრო ენაზე ამ „დასჯამ“ შეიძლება ათასგვარი ფორმა მიიღოს. ვაშინგტონი მუდმივად აცხადებდა, რომ ბაშარ ასადის დამხობაზე საუბარი არ არის, თუმცა მოქმედების ყველა შესაძლო ვარიანტს, რომელიც განიხილება, ასე თუ ისე, სწორედ აქეთ მივყავართ:

— პირველ რიგში, ესაა ინტენსიური ცეცხლის გახსნა მფრინავი რაკეტებიდან (ეს ვარიანტი წარმოდგენილია, როგორც სწრაფი, სულ რაღაც რამდენიმედღიანი კამპანია). მათი გადატანა ხმელთაშუა ზღვაში შეუძლია ოთხ ამერიკულ ხომალდს და წყალქვეშა ნავს, ბრიტანულ ბომბდამშენებს და წყალქვეშა ნავს ან ფრანგულ „რაფალესა“ და „ფრეგატს“;

— ამერიკელების მიერ გაწვრთნილი სირიელი კომანდოსების შეღწევა ქვეყანაში თურქეთისა და იორდანიის მხრიდან;

— საფრანგეთის მიერ ნახსენები სამხედრო დახმარების გაზრდა აჯანყებულებისთვის, როგორც მოცულობის, ასევე მიწოდებული არსენალის მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

საბოლოო მიზანი?

27 აგვისტოს გაზეთმა „კომერსანტმა“ დაწერა, რომ ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით, ევროპელი მოკავშირეები, თურქეთი და სპარსეთის ყურის მონარქიები (პირველ რიგში ყატარი და საუდის არაბეთი) ვაშინგტონს მეორე სცენარისკენ უბიძგებენ, რაც უფრო ხანგრძლივ საჰაერო ოპერაციებს და ინტენსიურ ცეცხლს გულისხმობს. სხვათა შორის, ეს უფრო ჰგავს ლიბიის 2011 წლის კამპანიას, როდესაც ნატო-ს ავიაციამ აჯანყებულების მხარდაჭერა უზრუნველყო ჰაერიდან მუამარ კადაფის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მსგავსი ჩარევის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობა, როგორც ეს მანამდე ლიბიაში კადაფის შემთხვევაში მოხდა.

იმავდროულად, გამოცემა ამტკიცებს, რომ არსებობს შუალედური სცენარიც. აშშ-ს და მის ევროპელ მოკავშირეებს შეუძლიათ, გარკვეული პერიოდი აწარმოონ ინტენსიური ცეცხლი სირიის მიმართულებით, რათა დამასკოს სამხედრო პოტენციალი შეასუსტონ, შემდეგ კი, მეორე პლანზე გადავიდნენ და დიდწილად, დამხმარე ფუნქციების შესრულებას მიჰყონ ხელი. ესტაფეტა შეიძლება გადაეცეს ასადის მოწინააღმდეგე რეგიონის ქვეყნებს თურქეთის ხელმძღვანელობით, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში ყველაზე ძლიერი არმია ჰყავს. თურქულ ავიაციას შეუძლია საჰაერო დაცვა უზრუნველყოს სირიის ოპოზიციისათვის ფრონტის საკვანძო წერტილებში, ხოლო სახმელეთო ძალები უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას ოპერაციებში. ნაკლები ხარისხით შეძლებენ იმავე როლის შესრულებას ასადის მოწინააღმდეგე არაბული სახელმწიფოების კოალიციის ელიტური დანაყოფები, საუბარია ყატარის, საუდის არაბეთისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ძალებზე.

შედეგი?

„დასჯაზე“ საუბარი უმალ გვახსენებს 1986 წლის აპრილში, ტრიპოლიში, კადაფის საპრეზიდენტო სასახლისა და რამდენიმე ობიექტის მიმართ ამერიკის არმიის მხრიდან ცეცხლის გახსნას; ასევე ისრაელის საჰაერო თავდასხმებს სირიაზე. ასეა თუ ისე, ამჯერად განსაზღვრული სამიზნეების პერიმეტრი შეიძლება გაცილებით ფართო იყოს: ანტისაჰაერო მოწყობილობები, აეროპორტები, საწყობები, სამეთაურო ცენტრები, ყაზარმები. სრულ სურათს მხოლოდ საპრეზიდენტო სასახლეები, სამინისტროების შენობები, ელექტროსადგურები და პორტები აკლია და გაურკვეველია, რა საჭიროა ეს ყველაფერი. შესაძლო შედეგები კი ასეთია:

— კონფლიქტის გავრცელება მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე;

— ხმელთაშუა ზღვის მილიტარიზაცია;

— რისკები ისრაელისთვის (სხვათა შორის, აქ კვლავ დაიწყეს რეიდების წარმოება აირსაწინააღმდეგო ჩაფხუტებით);

— საფრთხე სადამსჯელო კამპანიაში მონაწილე ყველაზე აქტიური ქვეყნების (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ) ინტერესებისა და მოსახლეობისთვის;

— ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკაში, კერძოდ, ნავთობზე ფასების ზრდა;

— გაურკვევლობა ახალი სირიული რეჟიმის ბუნებასთან, მის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით უმცირესობების მიმართ...

დინების წინააღმდეგ

მკაფიოდ დასახული მიზნების არარსებობა კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა ევროპაში, რადგან პარიზი და ლონდონი (მათ სადამსჯელო ოპერაციის სათავეში ყოფნა სურთ) სინამდვილეში, ვაშინგტონზე არიან დამოკიდებულნი: იძულებულნი არიან, დაელოდონ ამერიკის მოქმედებას და მხოლოდ იმას იმედოვნებენ, რომ მათი მონაწილეობა კამპანიაში საკმარისად საგრძნობი გახდება. ეს ყველაფერი ობამასაც აწყობს, რადგან მისი სტრატეგია, რომელიც წარმატებით გამოსცადა ლიბიაში, არამკაფიო ლიდერობას გულისხმობს. ამერიკის პრეზიდენტი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ერაყისა და ავღანეთის ავანტიურებისაგან გადაღლილ საზოგადოებრივ აზრს და პოლიტიკურ კლასს.

ასეა თუ ისე, ასეთი გაურკვევლობა, იმავდროულად, ზღუდავს ევროპულ გეგმებს: ორდღიანი საჰაერო დარტყმებით მართლაც შეიძლება რეჟიმის „დასჯა“, თუმცა „პრობლემის მოგვარებას“ და ბაშარ ასადის გარანტირებულ დამხობას (და სწორედ ამისკენ მიისწრაფვიან ბოლო დროს ფრანგი და ბრიტანელი ლიდერები) მინიმუმ, რამდენიმეკვირიანი სამხედრო მოქმედებები დასჭირდება.

გარდა ამისა, შეუძლებელია არ აღინიშნოს, პარადოქსი საფრანგეთის ქმედებებში. 2003 წელს ის ერაყში ომის წინააღმდეგი იყო, თუმცა 2013 წელს ცდილობს, სათავეში ჩაუდგეს სირიაში ჩარევას. საფრანგეთი კვლავ უწოდებს საკუთარ თავს, საერთაშორისო სამართლის გულმხურვალე დამცველს და მხარდამჭერს, თუმცა დღეს მზადაა, მას გადააბიჯოს, როგორც ეს ამერიკელმა მეგობრებმა კოსოვოს პრეცედენტისთვის გააკეთეს.

წარსულის გამოცდილება

1999 წელს (მასობრივი მკვლელობების შემდეგ რუანდაში 1994 წელს და სერებრენიცაში – 1995 წელს) დასავლეთმა საგანგებო ჰუმანიტარული მდგომარეობა გამოაცხადა და ამით გაამართლა ნატო-ს მხრიდან კოსოვოში სერბების ძალების დაბომბვა. შტატების მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაითმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა „არალეგალურ, მაგრამ ლეგიტიმურ“ ჩარევას, რომელიც „უნიკალური ვითარებით“ აიხსნებოდა, თუმცა დღეს ის მეორდება. მაშინ, როგორ უნდა მივუთითოთ საერთაშორისო კანონიერების დაცვისკენ რუსეთს, ჩინეთსა და სხვა რეჟიმებს?

ნებისმიერ კონფლიქტს, შეიარაღებული ძალების ნებისმიერ გამოყენებას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუკი ის რაიმე პოლიტიკურ პროექტზე გადის. ბოლო წლების მტკივნეულმა გამოცდილებამ ერაყში, ავღანეთსა და ლიბიაში უნდა დაგვაფიქროს: დღეს ამ ქვეყნებში სისხლი იღვრება, ტერაქტები ხდება, არეულობაა და ექსტრემიზმია გაბატონებული. მიუხედავად ამ ავანტიურების დამღუპველი შედეგებისა, ბრმად ვიწყებთ ახალ სამხედრო ოპერაციას, რომლის მიზნები და შედეგები, რბილად რომ ვთქვათ, ბურუსითაა მოცული.

ბრძოლა ყველაფრის დავიწყებისთვის

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს საფრანგეთი ყოველ წელს ომში ებმება: ჩადში – 2008 წელს, ავღანეთში – 2009 წელს, კოტ-დივუარში — 2010 წელს, ლიბიაში – 2011 წელს, მალიში – 2012 წელს და ახლა სირიაში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საფრანგეთის პოლიტიკურ სისტემას, მის არმიას, სამხედრო ინდუსტრიას და გარკვეული თვალსაზრისით საზოგადოებრივ აზრსაც კი, ყოველწლიურად ომის მოთხოვნილება აქვს იმისთვის, რომ „ნორმალურად“ იფუნქციონიროს ან იმისთვის, რომ სხვა ყველაფერი დაივიწყოს.

დაბოლოს, ხაზს ვუსვამთ, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ, სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე, დაგმო „ისინი, ვინც მსოფლიოში ყველაზე საშინელ იარაღს იყენებს ყველაზე დაუცველი მოსახლეობის წინააღმდეგ“, დაავიწყდა რა, როგორც ჩანს, რომ სწორედ ასე მოიქცა მისი ქვეყანა ჰიროსიმასა და ნაგასაკიში 1945 წელს. ახლა კი მისი უფროსი ბარაკ ობამა, ნობელიანტი მშვიდობის დარგში, ომს იწყებს. მარტინ ლუთერ კინგის „ოცნების“ 50-ე წლისთავის აღნიშვნის შემდეგ ვაშინგტონში,საით მიექანება სამყარო?

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1			9			7		3
					6		4	2
7		4	5					8
						9	2	
9				6				5
	2	7						
2					1	3		7
4	8		3					
3		1			5			9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	1	8		3				
7		6	4					
		2		8		6		
	8							5
6		9				7		2
2							8	
		7		1		3		
					3	8		7
				9		4	5	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

					1	8	7	
			3	5	6	1		
				9			6	
7				2		9		
	1						5	
		4		6				7
	8			1				
		2	4	3	5			
	6	5	8					

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	8					7		3
7					8		1	9
		9	7	5				
	6	8		4				
3			6		1			5
				8		1	6	
				7	6	2		
2	7		8					1
8		6					3	

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲐᲠᲐᲩᲘᲐ

აფრიკული განას მცხოვრები ქალბატონი ემილი მაბოუ საკუთარ ძაღლზე გათხოვდა, რადგან მასში გარდაცვლილი მამის თვისებები აღმოაჩინა. ტრადიციულ საქორწინო ცერემონიაზე, რომელშიც მღვდელმსახურიც მონაწილეობდა, სტუმრების თანდასწრებით, 29 წლის ემილიმ 18 თვის ძაღლი კანონიერ ქმრად აღიარა. პატარძლის უმცროსი ძმის განცხადებით, მათმა სანათესაომ ამ ცერემონიაში არ მიიღო მონაწილეობა, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს მარტოობისგან თავის დაღწევის სულელური მეთოდია. თავად მისის მაბოუ კი აცხადებს, რომ დიდხანს ეძებდა საყვარელ ადამიანს, რომელიც მამას მოაგონებდა. მამა კეთილი, პატიოსანი ადამიანი იყო, დედა უყვარდა და მისთვის არასოდეს უღალატია, — ამბობს პატარძალი, — ბევრ მამაკაცთან მქონდა ურთიერთობა, მაგრამ ყველა მექალთანე და მატყუარაა, ჩემი ძაღლი კი ერთგულია და პატივს მცემს. რაც შეეხება შვილებს, ქალბატონი მაბოუ მბობს, რომ ბავშვის აყვანა აქვს განზრახული.

ᲥᲐᲦᲬᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲘᲤᲝᲜᲖᲔ ᲪᲕᲚᲘᲡ

ჩინეთის პროვინცია გუანდუნში მცხოვრები ახალგაზრდა გოგონა მზადაა, დაკარგოს ქალწულობა iPhone 4-ის სანაცვლოდ. გოგონამ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში საკუთარი ფოტოები გამოაქვეყნა და მიაწერა, რომ მზად არის, დაწვეს იმ მამაკაცთან, რომელიც სმარტფონს უყიდის. ასეთი განზრახვის მიზეზად მოზარდი იმას ასახელებს, რომ უკვე დიდი ხანია ოცნებობს iPhone 4-ზე, მაგრამ მამა არ აძლევს უფლებას, ასეთი ძვირიანი ნივთი შეიძინოს... ამიტომ გადაწყვიტა, სანატრელი მობილური მოწყობილობის სანაცვლოდ, ნებისმიერთან ჰქონდეს ინტიმური კავშირი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲙᲝᲥᲢᲔᲘᲚᲘ

ყველაზე მავნედ ამერიკელმა სწავლულებმა რძის კოქტეილი დაასახელეს, რომელიც არაქისის ნაღებითა და შოკოლადის ნაყინით მზადდება. სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ასეთი სასმელის ერთ ულუფაში ზრდასრული ადამიანისთვის დღეღამის განმავლობაში საჭირო კალორიების რაოდენობა შედის, ცხიმების რაოდენობა კი სამჯერ აჭარბებს დღიურ ნორმას. ასეთი რძის კოქტეილები კი, როგორც წესი, ფასტფუდის პროდუქტებთან ერთად იყიდება და მომხმარებლებში საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

ᲛᲔᲢᲘ ᲡᲔᲥᲡᲘ — ᲛᲔᲢᲘ ᲤᲣᲚᲘ?

ბრიტანელმა სწავლულებმა კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ რაც ხშირად აქვს ადამიანს სექსი, მით მეტ ფულს შოულობს. ადამიანს უნდა უყვარდეს და თავადაც იყოს საყვარელი (არა მხოლოდ ფიზიკურად). ამის გარეშე ბევრი მარტოობისკენ მიდრეკილი ხდება, აწუხებს დეპრესია და ეს სამუშაოზეც აისახება, — აცხადებენ სწავლულები და დასძენენ, რომ ადამიანს ჯერ ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აინტერესებს — ჭამა და სექსი, მხოლოდ ამის შემდეგ აღწევს ის წარმატებას სხვა სფეროებშიც. ბრიტანელების გამოკვლევაში საბერძნეთში მცხოვრები 26-დან 50 წლამდე ასაკის, 8 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვისაც კვირაში ოთხჯერ ჰქონდა სექსი, 5%-ით მეტს გამოიმუშავებდნენ, ვიდრე ამ სფეროში ნაკლებად აქტიურები. ეს ტენდენცია არ არის დამოკიდებული განათლების დონეზე, სექსუალურ ორიენტაციაზე ან პროფესიაზე.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	6	8	4	2	7	1	5	3
7	5	2	1	3	9	6	8	4
1	3	4	6	8	5	7	2	9
5	4	6	8	1	3	9	7	2
3	2	1	9	7	6	8	4	5
8	9	7	5	4	2	3	1	6
4	1	5	3	9	8	2	6	7
2	8	9	7	6	4	5	3	1
6	7	3	2	5	1	4	9	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	2	8	9	6	5	4	3	1
6	5	4	3	2	1	9	8	7
3	1	9	4	8	7	6	2	5
5	8	3	7	4	2	1	9	6
4	9	6	1	3	8	7	5	2
1	7	2	6	5	9	8	4	3
2	6	5	8	1	4	3	7	9
9	4	1	2	7	3	5	6	8
8	3	7	5	9	6	2	1	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	6	2	5	4	7	1	9	8
4	9	1	3	8	6	5	2	7
7	8	5	2	1	9	4	6	3
2	5	4	1	7	3	9	8	6
8	3	9	6	5	4	7	1	2
6	1	7	9	2	8	3	5	4
9	7	3	8	6	1	2	4	5
5	4	8	7	9	2	6	3	1
1	2	6	4	3	5	8	7	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	3	2	1	9	7	6	5	4
5	1	7	8	4	6	3	2	9
9	6	4	5	3	2	1	8	7
7	9	6	4	5	1	2	3	8
4	5	3	2	8	9	7	1	6
2	8	1	7	6	3	9	4	5
6	7	5	3	2	8	4	9	1
3	4	9	6	1	5	8	7	2
1	2	8	9	7	4	5	6	3

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	5	6	8	1	3	2	4	9
4	3	2	9	7	6	1	8	5
1	9	8	2	5	4	6	3	7
3	8	1	7	6	5	9	2	4
6	2	9	4	8	1	7	5	3
5	4	7	3	2	9	8	1	6
9	7	5	1	4	8	3	6	2
2	1	4	6	3	7	5	9	8
8	6	3	5	9	2	4	7	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	1	9	5	2	8	7	4	3
7	5	4	1	6	3	2	9	8
3	8	2	9	4	7	6	1	5
5	4	8	7	3	2	1	6	9
9	7	3	8	1	6	5	2	4
2	6	1	4	5	9	8	3	7
1	3	7	6	9	5	4	8	2
8	2	6	3	7	4	9	5	1
4	9	5	2	8	1	3	7	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	2	7	8	5	6	4	3	1
1	6	5	4	3	9	8	2	7
8	3	4	1	7	2	9	5	6
7	4	9	3	2	1	6	8	5
6	5	3	9	8	7	2	1	4
2	8	1	6	4	5	7	9	3
5	1	2	7	9	4	3	6	8
4	9	8	5	6	3	1	7	2
3	7	6	2	1	8	5	4	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

1	9	2	7	8	6	5	4	3
7	8	5	2	4	3	1	9	6
6	3	4	1	9	5	2	8	7
9	6	8	5	3	2	7	1	4
5	4	7	9	1	8	6	3	2
3	2	1	6	7	4	9	5	8
4	5	6	3	2	1	8	7	9
8	1	9	4	6	7	3	2	5
2	7	3	8	5	9	4	6	1

ᲙᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ

მე-12 გვერდი: 1. ატამანი; 2. ტორტი; 3. მავრი; 4. ნეზვი; 5. სარქალი; 6. ადრიატიკა; 7. ქაფქირი; 8. ლენა; 9. პასპარტუ; 10. პითაგორა; 11. ნაფოტი; 12. აზავერი; 13. დანია; 14. ნადალი; 15. აორტა; 16. ანაფორა; 17. გიჟუა; 18. პიპინია; 19. „ალიტალია; 20. ლისტი; 21. ტაროსი; 22. ორლი; 23. ვასაკა; 24. ქსილიტი; 25. რიდი; 26. სათაფლია; 27. ვიოლა; 28. სპრინტი; 29. რთველი; 30. ტლუ; 31. ვილა; 32. სტიგმა; 33. პავლოვი 34. აკა; 35. კვლავ; 36. ოტიტი; 37. მეი; 38. ქცია; 39. პელე; 40. ალვა; 41. ვინერი; 42. ივან; 43. ალა; 44. მიქლიო; 45. ბრა; 46. ევა; 47. აბი; 48. ურნა; 49. ტურა; 50. ბენცი; 51. პატარძეული; 52. ჯაკარტა; 53. ფა; 54. ირიტი; 55. ბულ 56. პოპოვი; 57. იზაი; 58. ვო; 59. იაკუძა; 60. იბნ; 61. ძუა.

მე-13 გვერდი: 1. დემოკრატია; 2. კასტრო; 3. მარადია; 4. ეტნა; 5. მეზალიანსი; 6. კოლორადო; 7. ავლაბარი; 8. „ინტერი“; 9. მია; 10. ნიცშე; 11. მაკაო; 12. „ლოლიტა“; 13. ერიდა; 14. მანამა; 15. აქლემი; 16. ალოე; 17. რუბეროიდი; 18. ირა; 19. „ელი“; 20. ომარ; 21. აკაცია; 22. დარი; 23. „იმედი“; 24. აქშა; 25. ლიმპოპო; 26. პარაშუტი; 27. დუელი; 28. პრესლი; 29. ანი; 30. თვე; 31. ომლეტი; 32. ოლე; 33. ალა; 34. აკორდეონი; 35. „ფაუსტი“; 36. სამოვარი; 37. არმანიაკი; 38. ემი; 39. ცუკატი; 40. ასო; 41. ეკიუ; 42. სეიშელი; 43. ბულიკა; 44. ვატი; 45. საკურა; 46. კიტო; 47. ნეცკე; 48. ვალდშნეპი; 49. საბა; 50. ბალ; 51. ტუია; 52. ელე; 53. შორენა; 54. ჰუკი; 55. ჰაე; 56. დრო; 57. კანიონი; 58. პორტიე; 59. „ულისე“; 60. პი; 61. პატიო; 62. ეშხი; 63. იაკი; 64. დია; 65. რეი; 66. ლოზანა; 67. როლან; 68. მესკია; 69. პესო; 70. სახრე; 71. კოლიო; 72. ვაი; 73. მედეო; 74. ზავი; 75. ელოდეა; 76. თია; 77. ვიტ; 78. მასისი; 79. მაია; 80. „ვაიო“; 81. აზარტი; 82. ევა.

1.დე-ფაქტო „სამხრეთ ოსეთის“ დედაქალაქი
2. აბატი-მუშკეტერი ალ. დიუმას ცნობილ რომანში
3. ადამიანის ყნოსვის ორგანო
4. „ტოიოტას“ მოდელი
5. წყლის ტრამვაი ვენეციაში
6. რაიმე საქმიანობის მარეგულირებელ წესთა ერთობლიობა
7. მომხმარებელთა მოთხოვნის შექმნა-პროგნოზირება
8. მ. ტვენის ლიტერატ. პერსონაჟი ტომ ...
9.თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტანი
10. ავთვისებიან სიმსივნეთა შემსწავლელი მეცნიერება
11. რუსი ფერმწერი
12. მითოლოგიური კვანძის „ავტორი“
13. დიდი გარეული ფრინველი
14. პატარა არია
15. ავტომობილის დრეკადი ნაწილი
16. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
17. ტავჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი
18. სასიგნალო ტივტივა წყალზე
19. ლატვიის დედაქალაქი
20. რეჟისორი ფილმისა „ჩიორა“
21. ჯუჯა კამეჩი
22. პარიზის საუნივერსიტეტო კომპლექსი
23. ჰოლივუდის ესპანელი ვარსკვლავი
24. იაზონის ხომალდი
25. კომიკოსი ... დე ფიუნესი
26. მოცარტის მოშურნე კომპოზიტორი
27. ძალადობაზე დამყარებული მმართველობა
28. ტკივილის გამომხატველი მორისდებული
29. „თეთრი ოქრო“
30. ლეგენდარული რუმინელი ვამპირი
31. ბირმის თანამედროვე სახელწოდება
32. გერდას მეგობარი „თოვლის დედოფალში“
33. იაპონიის იმპერატორთა სასახლე
34. თურქი მწერალი ... ფამუქი
35. ჯარის ძირითადი ერთეული ძვ. რომში
36. ვენესუელის დედაქალაქი
37. მოხევე „მგზავრის წერილებში“
38. საცალფეხო გზა
39. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი
40.უჯრებიანი დგამი თეთრეულის შესანახად
41. კომპოზიტორი ... მორიკონე
42. ჰოლივუდის მსახიობი მეგ ...
43. ანტონიმი სიტყვისა - „წაღმა“
44. ზევსის ბაბუა ბერძნულ მითოლოგიაში
45. იგივეა, რაც ციებცხელება
46.ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
47. მთა, სადაც აპოლონი და მუზები ცხოვრობდნენ
48.აშშ-ის მეგაპოლისი ...-იორკი
49.ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია
50.საწარმოთა დახურვა გაფიცვების ჩახშობის მიზნით
51. ოქროს მიღების მეტალურგიული პროცესი
52. რუსების საბრძოლო ყიჟინა
53. ნიკოტინის შემცველი მცენარე
54. ზღვის პატარა ყურე
55. დირიჟაბლების სადგომი
56. ლაბორატორიული ჭურჭელი
57. „იქ“ - ძველ ქართულში
58.გოგირდისთავიანი პატარა ხის ჩხირი
59. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება
60. გუნებაში მსჯელობა
61. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
62. ქარების მბრძანებელი ბერძნულ მითოლოგიაში
63. ფუჭი, უშედეგო
64. შაქრის შემცველი ნივთიერება
65.სოფიკო ჭიაურელის კონროლი „ნატვრის ხეში“
66. პატარა ძაღლი, გოშია
67. შრეკის მეუღლე
68. ვამპირების საძულველი ბოსტნეული
69. მზის ღმერთი ძვ. ეგვიპტურ მითოლოგიაში
70. მუსიკალური გამის V ნოტი
71. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
72. ლეგენდარული ესპანელი საფეხბურთო მწვრთნელი
73.თავაზიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
74. ყბედობისთვის დასჯილი ნიმფა
75. კარლო კოლოდის ცნობილი ზღაპრის პერსონაჟი
76. ევროპელ ებრაელთა ენა
77. სარეველა ბალახოვანი მცენარე
78. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
79. მზე - მეგრულად
80. ჭაობის მცენარე
81. მღვდლის სამოსელის ნაწილი

იესოს ჯვარცმისთვის ჩივის

კენიელი იურისტი, დოლა ინდიდისი იტალიასა და ისრაელს იესოს ჯვარცმისთვის უჩივის. ამავდროულად, იგი რომაელი იმპერატორის ტიბერიუსის, ჰეროდესა და პილატეს გასამართლებასაც ითხოვს. იურისტი აცხადებს, რომ სურს, მაცხოვრის „უკანონო მოკვდინებისთვის“ გამოძიება ჩატარდეს. მან ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს უკვე მიმართა ისრაელისა და იტალიის გასამართლების თხოვნით, რადგან ეს ქვეყნები რომაელებისა და იუდეველების მემკვიდრეები არიან. იესოს დასჯასა და წამებაში დამნაშავე უმაღლესი პირების დანაშაულის დასამტკიცებლად იგი საერთაშორისო ტრიბუნალს სთავაზობს, ბიბლია წაიკითხოს, რომელიც „უტყუარი და სანდო წყაროა“. კენიელ იურისტს სულაც არ აფერხებს ის ფაქტი, რომ მის მიერ დადანაშაულებული პირები უკვე ორი ათასი წელია, ამქვეყნად აღარ არიან და ჩადენილ დანაშაულზე პასუხი იმ სახელმწიფოებმა უნდა აგონ, რომლებიც მათ პირდაპირ მემკვიდრეებად მიიჩნევა.

ჰოროსკოპი 2 სექტემბერი

ვერძი — დღეს გაქვთ შანსი, სამსახურში წინ წაიწიოთ, განახორციელოთ დიდი ხნის პროფესიული გეგმები, სასურველს აუცილებლად მიაღწევთ, არც პირად ურთიერთობებში გაქვთ საქმე ცუდად. ახალი ნაცნობობა შესაძლოა, თავბრუდამხვევ რომანში გადაიზარდოს.

კურო — დღე საშუალებას მოგცემთ, თქვენი დიპლომატიური უნარით გაიბრწყინოთ. მისი წყალობით შეძლებთ არსებული კონფლიქტების მოგვარებას. ეცადეთ, შეურიგდეთ ადამიანს, ვისაც უნებლიედ აწყენინეთ. დღის პირველი ნახევარი საკმაოდ ნაყოფიერია, საღამო კი მშვიდად გაატარეთ.

ტყუპები — დღეს ემოციური ფონი არასტაბილურია, შესაძლოა, თქვენთვის ძვირფას ადამიანთან კამათი მოგვიდეთ. ფინანსური მხარეც არ არის სასიამოვნო, დიდია დანაკარგის ალბათობა, არ ღირს, სერიოზულად განიხილოთ წინადადებები, რაც სამსახურის შეცვლას ეხება.

კირჩხიბი — დღეს შეგიძლიათ საკმაოდ ნაყოფიერად იშრომოთ, თუკი გადაწყვეტთ, არავინ დაიხმაროთ და ეველაფერი თავად მოაგვაროთ. სულაც არ არის აუცილებელი, რაიმე გრანდიოზულს მიადგეთ. სასიკეთოა ფინანსური სურათიც.

ლომი — დღეს ნაკლებად იჩქარეთ და მეტი აკურატულობა გამოავლინეთ. არის შანსი, დაგროვილი საქმეები მოაწესრიგოთ. შეეცადეთ, მოამთავინო იოთ საკუთარი თავის მიმართ, სხვებისადმი კი — შემწყნარებელი. ეს კარგ ურთიერთობებს შეგინარჩუნებთ ეველასთან. არ არის სასურველი, რთული და მნიშვნელოვანი საკითხები განიხილოთ ახლობლებთან, რადგან ამას შესაძლოა, კამათი მოჰყვეს.

ქალწული — დღე კარგად ჩაიცვლის, თუ თავად არ დაუშვებთ შეცდომებს უყურადღებობითა და წინდაუხედაობით. არ არის სასურველი მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მუშაობა, დიდი ფულის განაკარგვა, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება. საძაგეიროდ, შეგიძლიათ თქვენს მიმართ სიმშვიდით განაწყოთ ნებისმიერი ადამიანი.

სასწორი — დღეს მეტად გამჭრიახი და საზრიანი ხართ, არ გსურთ, საქმეში სხვის გაკვალულ გზას მიჰყვეთ. დღის მეორე ნახევარი შეგიბრებთან ან რომანტიკულ პაემანზე გაატარეთ. მოგწონთ, როცა ყურადღებას გაქცევენ, ზოგჯერ ამისთვის ორიგინალურ და ექსტრავაგანტულ საქციელსაც არ ერიდებით.

ღრიანკალი — თუ მთელი დღის განმავლობაში ენერგიული და საქმიანი იქნებით, კარგ შედეგს მიიღებთ. მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა მოეშვათ, თუ არ გინდათ, რომ თქვენი შრომის ნაყოფი სხვას დარჩეს. დღე დაკავშირებულია საინტერესო საუბრებსა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებასთან.

მშვილდოსანი — სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას ეხება, შესაფერისი დღეა. გავლენიანი ადამიანები, ვისი დახმარების იმედიც გაქვთ, არ გიდალატებენ. შესაძლოა, ისეთი მაცდური წინადადებაც მიიღოთ, რომ საკუთარი ბედნიერების არც დაიჯეროთ.

თხის რქა — დღე საქმეში სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან შეცდომების დაშვების ალბათობა საკმაოდ დიდია. შესაძლოა გაგიფუჭდეთ ურთიერთობა კოლეგებსა და უფროსობასთან, არ არის გამორიცხული, საშიში მტრებიც გაიჩინოთ. რთულ ვითარებაში ნუ მოგერიდებათ, რჩევისთვის ძველ მეგობრებს მიაკითხოთ — ისინი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებიან.

მერწყული — ფინანსების მხრივ საკმაოდ წარმატებული დღეა. გაქვთ შანსი, არა მხოლოდ გაზარდოთ შემოსავალი, არამედ საიმედო გრძელვადიანი ინვესტიციებიც განახორციელოთ. შეგიძლიათ, გარისკოთ — პროფესიული ინტუიცია არ გიღალატებთ.

თევზები — თევზებისთვის შედარებით რთული საქმეებით დაკავების დროა. კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებისთვის, საზოგადებრივ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. პირად ურთიერთობებში არც ისე წარმატებული დღეა: იმდენად ენერგიული ხართ, რომ ეს დღის კარშემომოფეთ. ნუ შეეცდებით ახლობლებს თქვენი ცხოვრების რიტმი მოახვიოთ თავს და ნუ განაწყენდებით, თუ თქვენს შეთავაზებას ენთუზიაზმით არ აიტაცებენ.

მედიკოსებმა გარდაცვლილი ქალი გააცოცხლეს

თანამედროვე სამედიცინო მექანიკურმა აპარატმა, რომლის სახელწოდებაა „ლუკას-2“, ავსტრალიელი ვანესა ტანასიუ სიკვდილის გადაარჩინა. ორიოდე კვირის წინ მას, ორჯერ გადატანილი ინფარქტის შემდეგ, კლინიკური სიკვდილი დაუდგინეს. მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ ეს ფაქტი სასიცოცხლო ორგანოს არტერიის დახშობამ გამოიწვია. ავსტრალიელი ქალბატონის გული 42 წუთის განმავლობაში გაჩერებული იყო. ექიმებმა პაციენტის ოჯახის წევრებთან შეთანხმების შემდეგ გადაწყვიტეს ახალი სამედიცინო აპარატის გამოყენება. ის ადამიანის სხეულის მექანიკურ რეანიმაციას ახდენს და სისხლის მოძრაობას აღადგენს. ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა და ვანესას ყველა სასიცოცხლო ფუნქცია მართლაც აღუდგა. მას დაუბრუნდა მოძრაობისა და მეტყველების უნარი, ოპერაციიდან რამდენიმე დღეში კი კლინიკის დატოვებაც შეძლო. ექიმები, რომლებმაც ქალს წარმატებული ოპერაცია ჩაუტარეს, აცხადებენ, რომ მათ სამედიცინო პრაქტიკაში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. პაციენტს დაზიანებული არტერიის ნაცვლად, სტენტი ჩავუდგით და გაამართლა, — აღნიშნა კარდიოლოგმა. ვანესა კი ამბობს, რომ ექიმებმა მას მეორე სიცოცხლე აჩუქეს და ახლა ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვას აპირებს. აღარ მოვწევ სიგარეტს და სიცოცხლით დავტკბები, — პირობა დადო ბედნიერმა ქალმა.

ჰოროსკოპი 3 სექტემბერი

ვერძი — ვერძები დღეს მოჯარბებული ენერგიით გამოირჩევიან, ნუ დაკარგავთ ენთუზიაზმს. ეველაზე კარგი, რაც შეიძლება გაკეთოთ, სახლის კეთილმოწყობა ან ავეჯის გადაადგილებაა. ეს საქმე მოსაწყენი რომ არ იეოს, ოჯახის წევრებიც დაიხმარეთ.

კურო — დღეს როგორც უნდა გინდოდეთ, დრო საეკარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ, სჯობს, ამას თავი აარიდოთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ კამათი გარდაუვალია, ასე რომ, სჯობს, განმარტოვდეთ და ბედნიერ მომავალზე იოცნებოთ.

ტყუპები — ტეუპებმა დღეს თავს უარი არაფერზე უნდა უთხრან, ზომიერების ფარგლებში, რასაკვირველია. ძალიან წაგადგებათ დასვენება მეგობრებთან ერთად, გასართობ კონკურსებში, შეჯიბრში მონაწილეობა. არ არის გამორიცხული, დღის ბოლოს საჩუქარი მიიღოთ.

კირჩხიბი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს ერთ-ერთ შეხვედრაზე საინტერესო შეხვედრა ელით მნიშვნელოვან ადამიანთან, რომელზეც იქნება დამოკიდებული მათი შემდგომი კეთილდღეობა. შეეცადეთ, ზედმეტი გაპრანჭვისა და წინასწარ მოფიქრებული ფრაზების გარეშე, თანამოსაუბრეს სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოთ.

ლომი — დღეს ლომებს საამაეე არ მისცემს უფლებას, საუკეთესო თვისებები და უნარები გამოავლინონ. სავსებით შესაძლებელია, სადამოს ინანოთ, ასეთი შანსი რომ გაუშვით ხელიდან. მაგრამ არ ღირს, ხელი ჩაიქნიოთ, რადგან ნებისმიერი მცდელობა, უარეოფითიც კი, მეტ საბრძნეს შეგძენთ.

ქალწული — დიდია ალბათობა, რომ დღეს ქალწულებს სხვისი პრობლემების გადაჭრა, რჩევების მიცემა, რთული მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა მოუწევთ. შესაძლოა, ასეთმა პერსპექტივამ არ აღგაფრთოვანოთ, მაგრამ დახმარებაზე უარის თქმას ნამდვილად ვერ შეძლებთ.

სასწორი — მთელი დღე თავეანისმცემელთა ეურადღების ცენტრში იქნებით. თქვენი შარმი დამშვიდების უფლებას არ მისცემს ამ ადამიანებს. გაქვთ არჩევანი: ამ ვითარებიდან ან სარგებელი ნახოთ, ან ისე დაიჭიროთ თავი, თითქოს ვერაფერს ამჩნევთ.

ღრიანკალი — დღეს არსებული მდგომარეობა გაიძულებთ, ფინანსებზე დაფიქრდეთ. შესაძლოა, რაიმე საინტერესო იდეა გაგიჩნდეთ იმასთან დაკავშირებით, როგორ გაუმჯობესოთ მატერიალური ფონი, თუმცა, შესაძლოა, ეოფილი კოლეგებისგან ან ძველი მეგობრებისგან მიიღოთ საინტერესო წინადადება.

მშვილდოსანი — მშვილდოსნები გადამწყვეტი მოქმედებებისთვის ან სერიოზული საუბრისთვის უნდა მოემზადონ. ამის ინიციატორი თქვენი ნაცნობი ადამიანი იქნება, თუმცა მთელი უბედურება ის არის, რომ სწორედ ახლა არ ხართ მზად მოვლენების რადიკალური ცვლილებებისთვის. სჯობს, კარგად მოემზადოთ ან დრო გაწელოთ.

თხის რქა — სახლის საზრუნავი იძულებულს გაგხდით, დღევანდელი გეგმები შეცვალოთ. არ არის გამორიცხული, საინტერესო ვახშამზე მოგიწოთ უარის თქმა, მაგრამ ეს „მსხვერპლი“ ამად ღირს.

მერწყული — მერწყულებს დღეს დაუოკებელი ფანტაზია შემოქმედებითი პროცესის მეუწვდომელ მწვერვალამდე აიევანს. თუკი შეგიძლიათ საკუთარი ნიჭის გამოეენება, მთლიანად ჩაეფალით ხელოვნების სამყაროში.

თევზები — ბევრი ადამიანი შეეცდება თქვენთვის ნერვების მოშლას, მაგრამ შეძლებთ, ეველა წინააღმდეგობა გადალახოთ და თავი აარიდოთ კონფლიქტებს. თვალი მაადევნეთ გარშემომეოფების ქცევებს. ახლა შესანიშნავი შანსი გაქვთ, თქვენი ნაცნობების ნამდვილი სახე შეიცნოთ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ნიღაბს ირგებდნენ.

თაიგულმა ავიაკატასტროფა გამოიწვია

პატარძლის თაიგულის სროლის ტრადიციისადმი უჩვეულო მიდგომამ ქორწილი ტრაგედიად აქცია. ეს შემთხვევა იტალიაში, ქალაქ ლივორნოსთან ახლოს მოხდა. ქორწილის გასათხოვარი სტუმრებისთვის თაიგულის გადასაგდებად ახალდაქორწინებულებმა პატარა თვითმფრინავი დაიქირავეს პილოტითა და ერთი მგზავრით, რომელსაც დაევალა კიდეც ეს საპატიო მისია. როცა თვითმფრინავი სტუმრებით სავსე რესტორნის თავზე გამოჩნდა, 44 წლის იზიდორო პენსიერიმ თაიგული გადმოაგდო, მაგრამ ყვავილები თვითმფრინავის ძრავაში მოხვდა და აფეთქდა. ქვემოთ ჩამოვარდნილი საფრენი აპარატი საერთო საცხოვრებელს დაეცა, სადაც 50-მდე ახალგაზრდა იყო შეკრებილი. საბედნიეროდ, მათგან არავინ დაშავებულა. თაიგულის გადმომგდებმა სერიოზული ტრავმები მიიღო, პილოტი კი უვნებელი გადარჩა. ადვილი მისახვედრია, რომ ამ ინციდენტის შემდეგ სადღესასწაულო ვახშამზე აღარავინ დარჩებოდა, შეშინებული სტუმრები უმალ დაიშალნენ.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		9		7	6		4	
		8						6
			9	4	3			8
		7						5
6			7	1	9			2
1						4		
9			3	5	4			
5						6		
	4		2	6		8		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	3		7		4			
				1	9	5		
							3	9
9						2	6	
7				3				4
	6	5						8
5	2							
		1	8	4				
			9		2		5	

ᲠᲗᲣᲚᲘ

	7		6					2
2			9		3			5
	3						9	
						1	8	
9	1			7			5	4
	6	4						
	5						3	
3			8		1			6
4					5		2	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2		5						8
			9					
6	3						7	
		6			4		2	
	2		6	5	7		4	
	1		3			6		
	5						1	3
					2			
9						7		5

ეკო-ნათურა, რომელსაც ელექტროენერგია არ სჭირდება



ვისკოსინის უნივერსიტეტის სტუდენტები დაფინანსების წყაროს ეძებენ, რათა, მეტად საინტერესო გამოგონების წარმოება დაიწყონ. მათ ნამუშევარს — ეკოლოგიურად სუფთა ნათურას არ სჭირდება ელექტროენერგია და „საწვავად“ სპეციალურ ბაქტერიებს იყენებს. „ბიოლამპების“ შემქმნელები გამოგონებას „ქილაში მოქცეულ ეკოსისტემას“ უწოდებენ, შუქს კი ლაბორატორიულ პირობებში გამოყვანილი ნაწლავური ჩხირები იძლევა, რომლებიც ბიოინჟინერიის წყალობით ანათებს. რადგან თავად ნაწლავურ ჩხირებსაც სჭირდება არსებობა, ნათურაში სხვა ორგანიზმებიც მოათავსეს და ამგვარად, ერთგვარი დახურული ეკოსისტემა შექმნეს, სადაც ყოველი ორგანიზმი საკუთარ როლს შეასრულებს ბიოგენური ნივთიერებების რეციკლინგში. ახალგაზრდა გამომგონებლები ამბობენ, რომ ექსპერიმენტის დროს, ისინი შეეცდებიან, ბაქტერიებმა სხვადასხვა ფერის შუქით გაანათონ.

პოლიციელებმა ძაღლი ყეფისთვის დააჯარიმეს

აშშ-ს ქალაქ ეპინგის პოლიციამ ძაღლი დააკავა, რომელიც დიდხანს და ხმამაღლა ყეფდა. ახლა მისი პატრონი — ლორეინ ნილი სასამართლოს წინაშე წარსდგება და თუ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში დამნაშავედ მიიჩნევენ, 25-დოლარიანი ჯარიმის გადახდაც მოუწევს, წესრიგის ხელახალი დარღვევისას კი 100 დოლარს გადაიხდის. სამართალდამცავების განცხადებით, ცხოველი თითქმის მთელი დღის განმავლობაში გაუჩერებლად ყეფდა და მეზობლები შეაწუხა, რომელთაც დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს. ასეთი შემთხვევა, ჩვეულებრივ, მხოლოდ გაფრთხილებით სრულდება ხოლმე, მაგრამ ძაღლის პატრონი სახლში არ იყო და ამიტომ ცხოველი თან წაიყვანეს. ნიუ-ჰემპშირის შტატის კანონების მიხედვით, თუ ძაღლი გაუჩერებლად 30 წუთის განმავლობაში ყეფს, ის წესრიგის დამრღვევად მიიჩნევა.

სიგარეტის ნამწვით მილიონები იშოვეს

სამხრეთკორეელმა ჩინოვნიკებმა მშვენიერი საშუალება გამოძებნეს, სიგარეტის ნამწვი ფულად აქციონ — წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა 6,2 მილიონი დოლარი მიიღო იმ ჯარიმებით, რომელიც ხალხს ქუჩაში დაგდებული სიგარეტის ნამწვის გამო გადაახდევინეს. დედაქალაქ სეულსა და მეგაპოლისის 25 ოლქში ამ კანონის დარღვევისთვის 142 ათასი მწეველი დააჯარიმეს, ჯარიმა კი 25-დან 50 დოლარამდე მერყეობს. გარდა ამისა, სეულის ხელისუფლება საყვარელი ქალაქის სისუფთავეზე მხოლოდ კორეული ვონით (აქაური ვალუტა) კი არა, პრაქტიკული საქმითაც იბრძვის. სიგარეტის მწეველებს მათ უფასოდ დაურიგეს ჯიბის 25 ათასი საფერფლე, წლის ბოლოს კი სეულის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დამატებით 4 ათას ურნას დადგამენ ნამწვისთვის. სხვათა შორის, მწეველების დაჯარიმებამ შედეგი გამოიღო, რადგან წესრიგის დამრღვევთა რიცხვი, შარშანდელთან შედარებით, 20%-ით შემცირდა.

საუკუნეს მიღწეული ინდური მამა ეახდა

ინდუსი ფერმერი რამჯეტ რაგჰავი 96 წლის ასაკში მამა გახდა და მსოფლიოში ყველაზე ხნიერი მამის ტიტული მოირგო. ამ ფაქტით ინდუსმა საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა — 94 წლისას ვაჟი შეეძინა, რის გამოც წლების წინ ყველაზე ასაკოვან მამად აღიარეს, ახლა კი 54 წლის მეუღლემ მეორე ვაჟი გაუჩინა.

საუკუნეს მიღწეული ინდოელი ამ მოვლენას ცხოვრების ჯანსაღი წესით ხსნის. იგი, ძირითადად, ხილითა და რძის ნაწარმით იკვებება და როგორც ამტკიცებს, ინტიმური ურთიერთობა დღეში 3-4-ჯერ აქვს. მეზობლები ხშირად მეკითხებიან, რაშია ჩემი საიდუმლო, მე კი ვპასუხობ, რომ ეს ღვთის ნებაა. ჯანმრთელი ვარ, მომწონს მეუღლესთან ინტიმური ურთიერთობა და მიმაჩნია, რომ ცოლ-ქმარს აუცილებლად უნდა ჰქონდეს რეგულარული სექსი, — აცხადებს ინდუსი.

ნაბახუსევიდან ლუდი გამოგიყვანთ

ავსტრალიელმა სწავლულებმა გრიფიტის სამედიცინო ინსტიტუტიდან ახალი სახეობის ლუდი დაამზადეს, რომელიც, მათი მტკიცებით, გაუწყლოებას უშლის ხელს და ბახუსსაც შველის. ცნობილია, რომ ლუდი სასარგებლო ნაერთებს შეიცავს, თუმცა სასმელი ორგანიზმიდან წყალზე სწრაფად გამოიდევნება, რაც გაუწყლოებას იწვევს. ქარვისფერი სასმელის ახალი ვერსია შეიცავს ელექტროლიტებს, რაც სხეულში სითხის დონის შენარჩუნებას უწყობს ხელს და ალკოჰოლის კონცენტრაციას აქვეითებს. ახალი სასმელის ეფექტურობა მოხალისეებზე გამოსცადეს და გაირკვა, რომ ის სამჯერ უკეთ აღადგენდა ორგანიზმში სითხის დონეს სტანდარტულ სასმელთან შედარებით.



1. მუქი იისფერი ბოსტნეული მცენარე
2. ცხოველთა ფიტულების დამზადება
3. ქალის სასიმღერო ხმა
4. მარადონას სახელი
5. მდინარე გერმანიაში
6. დანიელი მეზღაპრე
7. დაავადების სიმპტომთა დროებითი შესუსტება
8. ყვავილის ვაქცინის შემქმნელი
9. ინდური კობრა
10. ტოპმოდელი ნაომი ...
11. ფილიპინების დედაქალაქი
12. ვალიკომიზანდარის ძაღლი „მიმინოში“
13. ძველი მონეტების კოლექციონერი
14. შეძენილი მკუა-სუსტობა
15. ქიმიური ელემენტი
16. ქვეყნის წარსული
17. ნუშის იტალიური ლიქიორი
18. ყველაზე წყალუხვი მდინარე მსოფლიოში
19. არარატის სომხური სახელწოდ.
20. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
21. ერთუჯრედიანი ცხოველი
22. იტალ. მსახიობი ... მანიანი
23. გასეირნება ბავშვის ენაზე
24. ავტომობილის დრეკადი ნაწილი
25. პარაგვაის ჩაი
26. ყალბი, არანამდვილი
27. ვრცელი მიდამოს ხედი ზევიდან
28. (ძვ.) წერილობითი თხოვნა, საჩივარი
29. ხატაეთის მეფე „ვეფხისტყაოსანში“
30. გოეთეს ტრაგედია
31. ევროპ. ფოლკლორის გმირი ... ულენშპიგელი
32. ყალთაბანდობა
33. ამომწყდარი ძუძუმწოვარი ცხოველი, სპილოს „წინაპარი“
34. რეზოლუციის კონფლიქტი
35. „ბებერი“ კონტინენტი
36. ორთქლის მანქანის გამომგონებელი
37. დიდი წარმატება, გამარჯვება
38. ფრანგი ფერმწერი ... გოგენი
39. იაპონური ავტომარკა
40. გერმანელი კომპოზიტორი
41. მეტყველების ნაწილი
42. ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი
43. ოქროს ურდოს სარდალი
44. კორეული ავტომარკა
45. პატარა ბუტერბროდი
46. ლენინის ქვრივი იოკო ...
47. შხამიანი ბუჩქოვანი მცენარე
48. ორადგილიანი ველოსიპედი
49. ადამიანის სამეტყველო ორგანო
50. იტალიის უდიდესი მდინარე
51. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
52. შოუმენი ... სხირტლაძე
53. სახოტბო ლექსი
54. რძის პროდუქტი
55. აშშ-ის ტელეპრემია
56. ჩარჩოზე გაჭიმული ქსოვილი ლოზუნგით
57. გლეხთა აჯანყების მეთაური რუსეთში
58. კურდღლის ნაშიერი
59. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
60. მდ. ვოლგა ანტიკურ ლიტერატ.
61. ალოეს ქართული სახელი

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოთოლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოთოლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგინიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

დამსვენებლებს პლაჟზე ლოცვა შეეძლებათ

იტალიის კურორტ მოლიზეში დამსვენებლებს, რომელთაც უფალთან სიახლოვის სურვილი გაუჩნდებათ, მალე შესაძლებლობა ექნებათ, ეკლესიაში პლაჟზევე იარონ. სპეციალურად სამაგალითო კათოლიკებისთვის, რომლებიც რელიგიას კურორტზეც არ ივიწყებენ, ადრიატიკის სანაპიროზე გასაბერ ეკლესიას დადგამენ, რომლის სიმაღლე 30, სიგანე კი 15 მეტრი იქნება, მესას დროს ეკლესიის გუნდიც იგალობებს, საღამოს ლოცვა კი 10-დან ღამის პირველ საათამდე ჩატარდება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.